საერთო გაზეთი

№18 (751)
ოთხშაბათი
22 მაისი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

17 მაისიდან – 26 მაისამდე

ირაკლი კობახიძე: ჩვენ გვჭირდება მშვიდობა ომის ნაცვლად, ქვეყნის ერთგულება ღალატის ნაცვლად და სიყვარულით გაერთიანება სიძულვილის ნაცვლად

მე-12 კლასელებს მივულოცო ბოლო ზარი, სკოლის დამთავრება და მათ ვუსურვო ბედნიერი და წარმატებული სტუდენტური და პროფესიული ცხოვრება.

საქართველოს ეროვნული ნაკრების საგულშემატკივროდ, „ევრო-2024“-ის 3000-მდე ქომაგი საქართველოს მთავრობის მიერ ორგანიზებული სპეციალური ჩარტერებით ისარგებლებს და ავიაბილეთის ყიდვას სპეციალური, სუბსიდირებული ფასით შეძლებს.

სუბსიდირებული, ცალმხრივი ავიაბილეთის ღირებულება იქნება 195 ევრო. შესაბამისად, ორმხრივი ავიაბილეთის ღირებულება შეადგენს 390 ევროს. ქომაგებს ექნებათ შესაძლებლობა, თავად ააწყონ სამოგზაურო განრიგი.

თბილისიდან და ქუთაისიდან ჩარტერული რეისები დორტმუნდის, ჰამბურგის, კიოლნისა და დიუსელდორფის მიმართულებით განხორციელდება და საქართველოს ეროვნული ნაკრების მატჩების განრიგზე იქნება მორგებული.

სუბსიდირებული ავიაბილეთით სარგებლობას საქართველოს ის მოქალაქეები შეძლებენ, რომლებიც ფეხბურთის მატჩზე დასასწრებ ბილეთებს ფლობენ.

ჩარტერული რეისები თბილისისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტებიდან:

Georgian Wings-თან (თბილისი); **Georgian Airways**-თან (თბილისი); **Wizz Air**-თან (ქუთაისი); კომპანია **გასა**-სთან (თბილისი) თანამშრომლობით შესრულდება.

ირაკლი კობახიძე: ოპონენტები მაქსიმალურად გაურბიან კანონის შესახებ დისკუსიას

ჩვენი შეთავაზება იყო საერთაშორისო პარტნიორების მიმართ, რომ ვეტოს პროცედურა გამოგვეყენებინა პოზიციების შეჯერებისთვის, თუმცა სალომე ზურაბიშვილმა უხეშად დაადო ვეტო კანონს, რითაც, სამწუხაროდ, ყველანაირი სივრცე ჩაიკეტა ჯანსაღი დისკუსიისთვის, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ოპონენტები მაქსიმალურად გაურბიან კანონის შესახებ დისკუსიას.

„ბოლო თემა, რომელსაც შევეხები, ეს არის კიდევ ერთხელ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი. ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ იმაზე, რომ სოციოლოგიური კვლევის თანახმად, ამ კანონს მხარს უჭერს მოსახლეობის 60%-ზე მეტი. თვითონ გამჭვირვალობის იდეას, არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭვირვალობას მხარს უჭერს მოსახლეობის 60%-ზე მეტი. თვითონ გამჭვირვალობის იდეას და არასამთავრობო ორგანიზაციის გამჭვირვალობას მხარს უჭერს მოსახლეობის 80%-ზე მეტი. რაც შეეხება კანონს, კანონს მხარს უჭერს მხარს უჭერს მოსახლეობის 60%-ზე მეტი. შესაბამისად, მოსახლეობის უმრავლესობის საღმა აზრმა აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს, ეს ჩემი პირადი აზრია.

ამ ყველაფრის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ ოპონენტები მაქსიმალურად გაურბიან დისკუსიას. თქვენ გახსოვთ, რომ როდესაც პარლამენტში წარიმართებოდა დისკუსია, დებატები, კანონთან დაკავშირებით, ოპონენტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჯანსაღი დისკუსია არ შემდგარიყო. ასევე პირადად შევთავაზე დიპლომატებს, მონაწილეობა მიეღოთ ამ კანონპროექტის საჯარო განხილვაში, თუმცა, სამწუხაროდ, არ იყო არავითარი გამოხმაურება.

ასევე, როგორც მოგეხსენებათ, სალომე ზურაბიშვილმა ვეტო დაადო კანონს, რითაც ჩაკეტა ყველანაირი სივრცე დისკუსიისთვის. ჩვენი შეთავაზება იყო საერთაშორისო პარტნიორების მიმართ, რომ ვეტოს პროცედურა გამოგვეყენებინა პოზიციების შეჯერებისთვის, თუმცა სალომე ზურაბიშვილმა უხეშად დაადო ვეტო კანონს, რითაც, სამწუხაროდ, ყველანაირი სივრცე ჩაიკეტა ჯანსაღი დისკუსიისთვის“, - განაცხადა პრემიერმა.

მწუხარებას გამოვთქვამ სახელგანთქმული ექიმისა და მეცნიერის, აკადემიკოს

გულიკო ჩაფიძის

გარდაცვალების გამო.

ქალბატონმა გულიკომ მთელი ეპოქა შექმნა ქართულ მედიცინაში. იგი ერთნაირი თავდადებით და წარმატებით ემსახურებოდა როგორც პრაქტიკულ მედიცინას, ისე სამკურნალო მეცნიერების განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

სამძიმარს ვუცხადებ ქალბატონი გულიკოს ოჯახს, ახლობლებს და მთელ სამედიცინო საზოგადოებას.

ირაკლი კობახიძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი



დღეს ქართულმა საზოგადოებამ გამორჩეული პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე

ავთანდილ ჯორბენაძე

გააცილა უკანასკნელ გზაზე. ბატონი ავთო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის სათავეებთან იდგა და მრავალი წლის განმავლობაში ერთგულებით და მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურებოდა ქვეყანას. მისი სახელმწიფოებრივი აზროვნება და სამშობლოს სიყვარული მისაბაძი იყო ყველასთვის, ვინც მას იცნობდა. თანაგრძნობას ვუცხადებ ბატონი ავთოს ოჯახსა და ახლობლებს.

ირაკლი კობახიძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

გულიკო ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ავთანდილ ჯორბენაძე

73 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ავთანდილ ჯორბენაძე 1993 წლის 19 ოქტომბრიდან 1999 წლის 10 დეკემბრამდე საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობას იკავებდა. 1999 წლის 10 დეკემბრიდან 2001 წლის 22 დეკემბრამდე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი იყო 2001 წლის 22 დეკემბრიდან 2003 წლის 27 ნოემბრამდე კი სახელმწიფო მინისტრი.

სხვადასხვა წელს ის იკავებდა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობებს. კარიერის დასაწყისში იყო თბილისის კლინიკური საავადმყოფოს ექიმი-ინტერნი და შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილის ექიმი.

გამოქვეყნებული აქვს 6 სამეცნიერო ნაშრომი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით.

ავთანდილ ჯორბენაძე 2011 წლიდან დღემდე აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო.

„საერთო გაზეთი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართველი საზოგადოების ორი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ცნობილი ექიმის, კარდიოლოგის, გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის გენერალური დირექტორის, გულიკო ჩაფიძისა და ამავე ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, ავთანდილ ჯორბენაძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილთა ოჯახებს და სრულიად საქართველოს.

რას ნიშნავს „კარდუ“?

„არარატის მთა“ მისი ბოლოდროინდელი სახელია, მას ერქვა „კარდუ“ და მზის ღვთაების, სიცოცხლის ნიშანს ატარებდა. ვნახოთ, როგორ იწერებოდა ევროპულ ენებზე „ქალდეა“ — „KALDU“, სადაც შენარჩუნებულია სუფიქსი „უ“, რომელიც წმინდა ქართული წარმოშობისაა... ქართულ ენაში ასო-ბგერების ქ-სა და კ-ს გარდაქმნა, ჩვეულებრივი ენობრივი პროცესია. დადგენილია, რომ კარდუ/ქართუ ერთი ძირისა და მნიშვნელობის სიტყვებია.

სლავურ ენებში არსებული სიტყვები „კოლდუ-ნ(ია) — „კოლდოვსტვო,“ სწორედ „კარდუ-დან“ იღების სათავეს და მისანს, მისნობას ნიშნავს. შესაბამისად, რა ყოფილა „კარდუს ერი“? — „რაღაც“ დიდი ცოდნის ერი! დედამიწაზე ამგვარი ცოდნა კი მხოლოდ კოსმიური შეიძლება იყოს...

ბაბილონში კარდუ არის მზისა და თვალის ღვთაება, თუმცა კვლევებმა ცხადყო, რომ ღვთაება-კარდუ ბაბილონური წარმოშობის არ არის, ბევრად ძველია და სწორედ ქალდეველთა ეპოქას ენათესავება — ეს არის IV-III ათასწლეული ჩვენს ერამდე. ქალდეული აღქმით, კარდუ არის თვალი და გული ღვთისა, ორივე ერთად, ანუ გული, მზე, როგორც „წვა“ და თვალი, როგორც „ხედვა“...

სულხან-საბა როგორ განმარტავს „ღმერთს“?

აი, ასე: „ღმერთი არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა; „ღმერთი“ გადმოითარგმნების — ხედვა და წვა.

არსებობს ძველბერძნული სიტყვა „კარდიო“, რაც „გულს“ ნიშნავს, მაგრამ საქმე გახლავთ, რომ ის არ არის წმინდა ბერძნული სიტყვა, მისი ძირი „კარდ“ პელაზგურია და გულს ნიშნავს, ხმოვანი „ო“ კი ბერძნულია. ეს სიტყვა კომპოზიტიც არის და ნიშნავს „ღმერთის კარს“, რადგან პელაზგები თვლიდნენ, რომ სული ადამიანის გულში სახლობს. „კარ“-ი ქართული სიტყვაა, ხოლო „დიო“ ღმერთის ერთ-ერთი სახელია, რომლის უფრო ძველი ვარიანტი „დიუ“ ან „დია“ უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით, რომ „არდ“ ნიშნავს ძველქართულად „მზე“-ს, რაც მიანიშნებს ერთი ფუძის თანაარსებობაზე.

არსებობდა ქალდეელებისა და შუმერების მონათესავე ხალხი რომელთაც ურარტუ ერქვა და სადაც გაჩერდა ბიბლიური ნოეს კიდობანი (სომხებს არაფერი აქვთ საერთო ურარტუელებთან, ინდოევროპული მოდგმის მოსული ხალხია). ურარტუს მითოლოგიაში არის ღვთაება „ხალდი“/„ხალდუ“, იგივე „ქალდი“/„ქალდუ“. ის არის მამა ყოვლისა ცხოველისა, შემქმნელი ყოვლისა მშვენიერისა... ის არის უზენაესი ღვთაება ურატულ პანთეონში და გამოხატავდნენ როგორც ლომზე ამხედრებულ კაცს. შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ძველი ქართული წმინდა მამაის ხატი, რომელიც ჭედური ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია, სადაც სწორედ ლომზე ზის წმინდა მამაი.

საინტერესო დეტილი — ასურეთის მეფე ტუკლატ-ადარ I ძვ, წ. აღ. 1275 წლის წარწერაში თავის ჩრდილოელ მეზობელს „კარდუს ქვეყანად“ მოიხსენიებს, ანუ ქალდეა/კარდუ ერთი ძირისა და ფუძის, ერთი გეოგრაფიული ტერიტორიის, ერთი ადგილის ამსახველი სიტყვებია. დღეს სვანეთში ერთდროულად რამდენიმე სოფელს ჰქვია „ხალდე“ და „ხალდი“...

ლეონტი მროველი, როდესაც ქართველთა ეთნარქებზე წერდა, რა უძველეს წყაროებს ეყრდნობოდა, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია, ვერაფერს ვიტყვით. სავარაუდოდ, იმ წყაროებში ეწერა სინამდვილე და დროთა განმავლობაში დაიკარგა, განადგურდა, ან უკეთეს შემთხვევაში, „მიიძინა“ და აუცილებლად გაიღვიძებს...

„ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲠᲓᲮᲣᲡ ᲔᲠᲘ“

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: რა უნდათ „ფენიქსის ერისგან“ მის „დაუძინებელ მეგობრებს“?

პასუხი: ჩვენ საქართველოში არსებული მთავრობის ჩამოგდება გვინდა, რომ ამ ბიჭებმა სომხეთთან ერთად მეორე ფრონტი გახსნან რუსების წინააღმდეგ კავკასიაში!

რა საინტერესოა, მსოფლიო რუკაზე საქართველო წერტილად ჩანს, არადა, უხსოვარი დროიდან დღევანდელობის ჩათვლით, მთელი მსოფლიო ეტანება. ნეტავ, რაშია საქმე?

„სამოთხე დედამიწაზე“ ხატოვანი ნათქვამია, რეალურად, საქართველო სამოთხისკენ მიმავალი გზა ხომ არ არის? ის უძველესი კოსმიური ცოდნა ხომ არ იზიდავთ შეუცნობლად პირველსაწყისისკენ, რაც საქართველოს ტერიტორიაზეა ღრმად ჩამალული?

მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობა რომ იზიდავდეს მომხდურს, არ იქნებოდა გასაკვირი, მოვიდოდა კიდეც, დაგვიპყრობდა და სასურველი ტერიტორიაც ექნებოდა, მაგრამ არა, მხოლოდ ეს ინტერესი არა აქვთ, ქართულ სულს ითხოვენ!

ვისაც საქართველოს მხოლოდ ადგილმდებარეობა და საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რაღაც კუთხით აინტერესებს, ის კრებსითი გონჩარენკოები ყველა ქვეყნიდან, ერთი რიგითი მღილები არიან, „სალა უკრაინე“ რომ უფრო აინტერესებთ, ვიდრე „სლავა უკრაინე“...

„უცხოური აგენტების შესახებ“ კანონპროექტის კენჭისყრის შემდეგ, პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვეტო დაადო ამ კანონპროექტს. მას, მმართველი პარტია „ქართული ოცნება“, რომელიც, ფაქტობრივად, კრემლი გახლავთ, დაძლევს და უკვე ამ შემოდგომაზე ექნებათ არჩევნები, მაგრამ ეს არჩევნები მხოლოდ ფორმალობაა და ამიტომაც არის

შესაძლებელი რევოლუცია იქ უკვე შემოდგომაზე და ან ექნებათ რევოლუცია, ან გახდებიან ბელორუსი-2,“ — საკუთარი ნატვრა ჩაურთო „წინასწარმეტყველებას“ უკრაინელმა გონჩარენკომ.

საქართველოს დაუძინებელი მეგობრების სამწუხაროდ და საქართველოს საკეთილდღეოდ, საქართველო ვერ გახადეს „უკრაინა-2“ და ვერ მოუნელებიათ ეს ურჩობა ვერც უკრაინას და ვერც საქართველოს დაუძინებელ მეგობრებს.

რას წარმოადგენს საქართველოსთვის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე, ვინმე მიხაილ როთი, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესიის დასაკნინებლად (თავისი ჭკუით), თბილისში ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციებზე სასიარულოდ და თვით ზარ-ზეიმით მამაკაცზე გათხოვილს, გეების სადიდებლად და საქართველოს ხელისუფლების სალანძღავად მოუცლია? „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი თუ „ქართული კოშმარის“ ამომრჩეველია, ეს ჯოჯოხეთის კოშმარი არსება რომ ბუნდესტაგში ჰყავთ, გერმანელი ერის სირცხვილია!..

ზნეობისგან დაცლილ ამ არსებას, არათუ საქართველოზე ჰქონდეს წარმოდგენა როგორც ჩანს, გაგონილიც არ აქვს, ვინ იყო და რა თქვა ავსტრიელმა მწერალმა და რუსთველოლოგმა ჰუგო ჰუბერტმა,: „ქართველები — ეს არის ხალხი, რომელთა უჯრედები ატარებს შუმერების, ურარტუელების, კოლხების, იბერების, ხალიბების, არიელებისა და სხვა პირველი ცივილიზაციებისა და კულტურების შემოქმედთა გენეტიკას. ეს არის დიდი „კარდჰუს ერი“, რომელიც იმდენი ჭამეს გარშემომყოფმა მტრებმა, სანამ არ დააქვეითეს მისი ძლიერება.

რამდენიმე ასეული გენოციდი და ეთნიკური წმენდა მოუწყვეს ისტორიის მანძილზე, ყოველი საუკუნე ეთნიკურ წმენდასა და ჰოლოკოსტში, სრულად ცეცხლში დაწვაში გამოატარეს... მაგრამ საოცარია, რომ ამან მხოლოდ გამოაწრთო ისინი, როგორც ცეცხლი აწრთობს ფოლადს. თვითგადარჩენა და ჭირში არნახული გაძლება ქართველების ეთნიკურ პროფესიად იქცა.

ქართველებს თავიანთი დედაქალაქი 29-ჯერ სრულად გადაუწვეს და ოცდაცხრაჯერვე სრულად და უფრო დიდებით აღდგა თბილისი!

ქართველები, მათი დედაქალაქი თბილისი და ფრინველი ფენიქსი ერთი რამით ჰგვანან ერთმანეთს — დაბერებული და დამწვარი ფენიქსი საკუთარი ფერფლიდან აღდგება და ახალ სიცოცხლეს იწყებს. თბილისისა და ქართველების ისტორია დაფერფვლისა და ფერფლიდან აღდგომის ისტორიაა. მე ქართველებს „ფენიქსის ერს“ ვუწოდებ!

თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში, კათოლიკური ეკლესიის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგისხანები და აღმოსავლეთის სხვა სულთნები თუ შაჰები.

თბილისი იყო, იდგა როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე.“

ან რომელი ავტორიტეტია ჯონ ბასი, აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში, რომელიც სააკაშვილის მკვლელი ბანდების მიერ 26 მაისის დარბევაზე ენას იჩლექდა, ხოლო 2024 წლის 14 მაისს, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის რანგში, საქართველოს მთავრობას დიაგნოზს უსვამს, მოძალადე პირების თარეშის აღკვეთით საქართველო ევროატლანტიკური გზიდან გადაჰყავსო;

როგორც ჩანს, აკერმანის ინსტრუქტორ-მასწავლებლები იმიტომ იღებენ მონაწილეობას ამ გამოშიგნულ აქციებში, რომ ევროატლანტიკურ რელსებს არ ავცდეთ. აკი ვთქვი, საქართველოს არ იცნობენ-მეთქი, თორემ ეცოდინებოდათ, რომ არამკითხე მასწავლებლებისთვის ვაგზალზე ვაგონებია ჩამომდგარი...

ხუთი ქვეყნის (ჩეხეთი, პოლონეთი, გერმანია, ლიეტუა, ფინეთი) საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეებმა ვარდებით ხელში, ხელისუფლების საწინააღმდეგო აქციის მონაწილეებს სცენიდან სიტყვით მიმართეს. ვითომ არ იციან, რომ სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის უფლება არ აქვთ? იციან, მაგრამ „დაბალ ღობედ“ მიჩნეული საქართველო ქვეყანად არ მიაჩნიათ. უცხოური ძალები რომ ფულს დებენ ქართულ პოლიტიკაში, ამაშია საქმე, შესაბამისად, რა ქართულ ჩიტს დაიჭერენ ხელში, დროზე ადრე ნახავენ... მთავარი ის არის, რომ აქციები იმის გამო იმართება, „შავი ფული“, ნაწილი უნდა ვათეთროთ, ნაწილი კი ხელისუფლების დამხობას უნდა მოვახმაროთ და რას ჰქვია, ამის უფლებას გვართმევთო?

ე. წ. რადიკალური ოპოზიცია უკვე ღიად გამოჩნდა და სათავეში ჩაუდგა იმ ნამდვილ ინტერესს, რასაც ნებისმიერ ფასად ხელისუფლების ხელში ჩაგდება ჰქვია

5 ᲒᲐᲒ.

კანონი ითხოვს ლეგალური ფულის გამჭვირვალობას, მაგრამ საფიქრალია არალეგალური ფულის, რომელის შემოდის

ნომრის სტუმარია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი
ბონდო მძინარაშვილი

- სალომე ზურაბიშვილმა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს ვეტო დაადო. მოულოდნელი ნამდვილად არ იყო, რომ ეს პრეზიდენტმა ყოველგვარი მოტივირებული შენიშვნის გარეშე გააკეთა.

- სალომე ზურაბიშვილს ჰქონდა ვადა 28 მაისამდე კანონპროექტზე ხელმოსაწერად, ვეტოს დასადებად ან მოტივირებული შენიშვნების მოსამზადებლად, მაგრამ მან ეს ვადა არ გამოიყენა. რამდენიმე ვარიანტი იყო მოსალოდნელი: ერთი ის, რომ პრეზიდენტი ორკვირიან ვადას ბოლომდე გამოიყენებდა, შემდეგ კი იტყოდა იმას, რაც ახლა თქვა, რომ ეს კანონი ყველა შემთხვევაში მიუღებელია. მეორე ვარიანტი იყო, რომ ის დაელოდებოდა ადგილობრივი და უცხოელი იურიდიული მრჩევლების მოსაზრებებს, რაც მოტივირებულ შენიშვნებში აისახებოდა და მესამე იყო ვადის გასვლამდე ვეტოს პირდაპირ გადაგზავნა ყოველგვარი შენიშვნის გარეშე. რომელს აირჩევდა, ამას არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში იურიდიული ფორმალობა დარღვეული არ არის, მაგრამ ეს არის პრეზიდენტის აჩირება, რითაც მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ინსტიტუციებს პატივს არ სცემს. ვეტო დაიძლევა და პარლამენტის თავმჯდომარის ხელმოწერით შევა კანონი ძალაში, რადგან მმართველ პარტიას გაწერილი აქვს კანონის მიღების პროცედურები მისი ინიცირებიდან ხელმოწერამდე. ამას ხელს პრეზიდენტი მოაწერს, თუ პარლამენტის თავმჯდომარე, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

რაც შეეხება გამოხმაურებებს საერთაშორისო აქტორების მხრიდან, ისინი ფიქრობდნენ, რომ ევროკომისიის, ევროკავშირისა და ევროპული საბჭოს ჩართულობით, კანონში შეიძლებოდა ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას მიაღწევდა. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, უკვე რამდენიმე წელია, ამას ისედაც ვაკეთებთ და ნელ-ნელა ჩვენი კანონები ევროპულ კანონმდებლობას ერგება. ეს იყო ვალდებულება და ეს პროცედურა სერიოზული დაკვირვების ქვეშ არის, მათ შორის, ევროკავშირის მხრიდან. ვენეციის კომისიაც ამ თვალსაზრისით არის ჩართული პროცესში, თუმცა სალომე ზურაბიშვილი ვენეციის კომისიის დასკვნასაც არ დაელოდა.

გამჭვირვალობის შესახებ კანონი აისახება მათზე, ვისაც პრეზიდენტი, როგორც ინსტიტუტი ეიმედება და ზურაბიშვილს განიხილავს, როგორც თანამოაზრეს. ეს ხალხიც გაოგნებულია, რადგან, აღმოჩნდა, რომ ზურაბიშვილი, რომლის ავტორიტეტი და პოლიტიკური რეპუტაციაც საერთოდ არაფერს ნიშნავს ქართული საზოგადოებისთვის, ამ პროცესიდან არასწორად გაიქცა, რადგან არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კანონი ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ფარგლებში ჩაჯდეს. სამომავლოდ, როგორც აქამდე არსებულ სხვა კანონებში შევიდა ცვლილებები, ასევე შევა ცვლილებები ამ კანონშიც. საბოლოო ჯამში, ყველა ის კანონი, რასაც ევროკავშირის ქვეყნები მიიღებენ, ერთი შინაარსის და სულისკვეთების იქნება, საერთო ევროპული ფასეულობებით, იმ განსხვავებით, რომ თითოეული მათგანს ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს მოარგებენ.

- გარკვეულ კატეგორიას, რომელიც ბოლომდე ვერ გარკვეულა კანონის ავკარგიანობაში, სწორედ ეს ცვლილებები აფიქრებს, რადგან არავინ იცის, საბოლოოდ როგორ სახეს მიიღებს ის და როგორ გამკაცრდება სანქციები...

- ძალიან მიკვირს, რატომ ატეხეს ამხელა ისტერიკა ამ ადამიანებმა, რადგან სულ მალე საფრანგეთის სენატი მიიღებს გადაწყვეტილებას და ჩვენ დავინახავთ, როგორია ფრანგული კანონი. არსებობს მსგავსი კანონი დიდ ბრიტანეთში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, კანადაში... პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს რომ თავი დავანებოთ. სწორედ ამას ითხოვს ევროპა თავის სახელმწიფოებში მოქმედი სხვადასხვა ორგანიზაციის მხრიდან, რომ ყველა ჩართულობა, რაც იქნება გარედან, და ყველა მონაწილეობა, ეს იქნება ფინანსური, პოლიტიკური თუ სხვა, რაც საზოგადოებაზე გავლენას ახდენს, იყოს გამჭვირვალე! ჩვენი კანონის სანქციები არის ყველაზე რბილი, სადაც მხოლოდ გამჭვირვალეობაზეა აქცენტი, მაგრამ ბევრ ქვეყანაში გაცილებით მკაცრი სანქციებია. ბუნებრივია, თუკი ადამიანები არ დაემორჩილებიან კანონის მოთხოვნებს, ამოქმედდება საჯარიმო სანქციები და თუკი ამასაც არ დაექვემდებარებიან, შესაბამისი პროცედურებით დაყადაღდება ანგარიშები.

კონკრეტული მმართველი პარტიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებს რომ თავი დავანებოთ, არაგამჭვირვალე თანხები თვითონ პოლიტიკური პროცესისთვის არის დამაზიანებელი, რადგან კანონმდებლობით, პოლიტიკურ პარტიებს უცხოეთიდან დაფინანსების მიღება ეკრძალებათ. ამავდროულად, უცხოეთიდან დაფინანსების მიმღები არასამთავრობო ორგანიზაციების გავლით, ეს ფული ხმარდება შიდა პოლიტიკურ პროცესებში ვიღაცის აქტიურობას. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, სახელმწიფომ გარკვეული მექანიზმი უნდა შემოიღოს იმისათვის, რომ ამომრჩეველი შეცდომაში შეყვანისგან დააზღვიოს.

- რატომ იჩქარა პრეზიდენტმა ვეტოს დადება, დროის „გაწელვა“ არ ჯობდაო? - შეკითხვას სვამენ სოციალურ ქსელში პრეზიდენტზე შეყვარებული რადიკალები. მე კი მაინტერესებს, რა მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის, ახლა დაადებდა ვეტოს პრეზიდენტი კანონს თუ ორი კვირის შემდეგ?

- ფიქრობდნენ, ალბათ, რომ პრეზიდენტის ვეტოს ორკვირიანი ვადა ფორას მისცემდათ, რათა აქციების მასშტაბი გაეზარდათ და გეოგრაფია და მეტი საერთაშორისო მხარდაჭერა მიეღოთ. მათ სჭირდებოდათ პროცესის გაწელვა იმისათვის, რომ მუხტი გაზრდილიყო. მეც ვმონაწილეობდი 1988-1989 წლების აქციებში და ვიცი, რასაც ნიშნავს ეს, ვიცი, როგორ იმუხტება ადამიანი, მით უფრო, თუ ის ახალგაზრდაა და სჯერა, რომ იდეალებისთვის იბრძვის! საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი იყო მაშინ ჩვენი მოთხოვნა, რასაც „ევროპაში მინდა“ ნამდვილად ვერ გაუტოლდება - ეს არ არის მაღალი იდეალი, პირიქით, სუვერენიტეტზე ნაწილობრივ უარის თქმას ნიშნავს. კარგია, ეს ახალგაზრდები რომ აქტიურობენ, მაგრამ პროცესში მაინც უნდა გაერკვნენ. თუმცა, მათ უკან დგას ილიას უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული დაჯგუფება და გიული ალასანიას უნივერსიტეტში შექმნილი „ფრანკლინის კლუბი“, რომლებიც ამ პროცესებს მართავენ. რაც ხდება, კარგია იმ თვალსაზრისით, რომ უკვე ყველა გამოვლინდა, ნათელი გახდა, ვის რა რესურსი აქვს, ვინ საიდან ელის მხარდაჭერას, ვინ ვის აფინანსებს და ასე შემდეგ.

ამ აქციის ორგანიზატორები არიან კეზერაშვილი და ხაზარაძე. რა თქმა უნდა, აქ ჩართულია გვარამია, ჯაფარიძე და ხოშტარიაც. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ყოველდღე სცენის და გახმოვანების დაქირავება ათასობით დოლარი ჯდება და ამ თანხის გადახდის შესაძლებლობა არც ერთ სტუდენტურ ორგანიზაციას არა აქვს. ჯგუფი „დაიტოვე“ რომ შექმნეს, სადაც ნანუკა ჟორჟოლიანი ხაჭაპურებს, საწვიმარებსა და ნიღბებს არიგებს, რეგიონებიდან ეპატიჟება ადამიანებს, რომ აქციაზე „დაიტოვოს“ და თითქოს სოციალური ქსელით ეძებს დაფინანსებას, ეს ყველაფერი საფარველია იმისათვის, რომ რამენაირად ფული გაათეთრონ. რაღაც თანხას შეიძლება უბრალო ადამიანები მართლაც ურიცხავენ, მაგრამ ამ აქციებს იმხელა ფული სჭირდება, ხომ უნდა თქვან, საიდან მოვიდა ეს ფული?! ამიტომ მოიგონეს, რომ მას ხალხი აგროვებს, რაც აბსოლუტური სიცრუეა.

- თუმცა სასიამოვნო მოსასმენი ნამდვილად არ არის ის ხისტი შეფასებები, რასაც აღნიშნული კანონის გამო გამუდმებით ვისმენთ რიგი ევროპელი დეპუტატების მხრიდან. იმედია, სანქციების დაწესებას ვერ გაბედავენ...

- როცა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ო'ბრაიენი საქართველოში ჩამოვიდა, მას არ უთქვამს, რომ ეს კანონი „რუსულია“, არვარგა და არ უნდა მიგვეღო, მან თქვა, რომ ევროკავშირთან დაახლოების გზაზე ამ კანონში რაღაცის გათვალისწინება იქნება საჭირო. არანაირ სანქციებზე ლაპარაკი არ არის, რამდენიმე ქვეყნის პარლამენტების კომიტეტის თავმჯდომარეებთანაც კი, რომლებიც ჩამოვიდნენ. თუმცა, მათთან ოფიციალური შეხვედრები ვერ გაიმართებოდა, რადგან ეს არ იყო ოფიციალური ვიზიტი.

რაკი საქართველოს ხელისუფლება მყარად დადგა თავის პოზიციაზე და არ დაუწყო ენის მოჩლექით საუბარი სტუმრებს, ისინი მიხვდნენ, რომ ხელისუფლება მოქმედებს საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით. ამის შემდგომ, ეს კომიტეტის თავმჯდომარეები დავინახეთ საპროტესტო აქციაზე. ასევე აქციაზე გამოვიდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებსაც მანამდე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდნენ. ამ მინისტრებს არანაირად არ ჰქონდათ ანტისამთავრობო მიტინგზე გამოსვლისა და აქციის მონაწილეებისთვის მხარდაჭერის უფლება, რადგან ოფიციალური პირები არიან. ისინი უბრალოდ დეპუტატები არ არიან, რომლებსაც შეუძლიათ, საკუთარ თანამოაზრეებს შეხვდნენ სხვადასხვა ქვეყანაში. მათი ასეთი საქციელი ნიშნავს, უპირველესად, იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოს ინსტიტუტებს პატივს არ სცემენ, რასაც საქართველოს ხელისუფლება უყურადღებოდ არ დატოვებს. მათ აუცილებლად მოუწევთ პასუხისგება ამ საქციელის გამო საკუთარ ქვეყნებში.

- მძიმე დრო დაუდგათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, თუმცა, ბევრი მათგანი ნამდვილად ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებს და ასე რამ შეაშინათ, მაინც ვერ გავიგე?!

- როცა იუესაიდი რამეს აკეთებს, ამერიკის სახელმწიფოს გადასახადების გადამხდელების ფულით აკეთებს. ხარჯავენ ამერიკის ბიუჯეტს და, როგორ ფიქრობთ, საქართველოს სიყვარულით აკეთებენ ამას?! არაფერია შეურაცხმყოფელი იმაში, რომ ადამიანები იღებენ დაფინანსებას კონკრეტული პროექტების განსახორციელებლად, მაგრამ, ამავდროულად, რასაც ო'ბრაიენმაც გაუსვა ხაზი, გასათვალისწინებელია, რომ ლეგალური ფულის გამჭვირვალობას ითხოვს ეს კანონი, მაგრამ არალეგალური ფულის შესახებ არაფერია ნათქვამი. ეს კი სერიოზული პრობლემაა. აქ მხოლოდ დასავლეთიდან შემოსულ ფულზე კი არ არის ლაპარაკი, ყველა ლეგალური ფული, რომელიც შემოდის თურქეთიდან, ირანიდან, რუსეთიდან, აზრბაიჯანიდან, სომხეთიდან თუ ჩინეთიდან - იქნება დეკლარირებული, მაგრამ, ამავდროულად, ჩვენი სახელმწიფო ინსტიტუტების საფიქრალია ის არალეგალური ფულიც, რომელიც საქართველოში შემოდის. აქაც რაღაც მექანიზმებია მოსაფიქრებელი, რომ ამ ფულმა ასე არ იტრიალოს.

არის კიდევ ერთი საკითხი: საინტერესოა, იმ ფულით, რომელიც საქართველოში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციიდან შემოდის, რა აქტივობები ხორციელდება ჩვენს სამეზობლოში - აზერბაიჯანსა და თურქეთში. ეს სეროზული პრობლემაა, რამაც, შეიძლება თურქეთთან და აზერბაიჯანთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორებთან, სერიოზულად დაძაბოს ურთიერთობა. რადგან შესაძლოა, საქართველოში სხვადასხვა ფონდიდან შემოსული ფული აზერბაიჯანის ან თურქეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა ჯგუფის აქტიურობას ხმარდება, რაც სერიოზული პრობლემაა. აქ უკვე ლაპარაკი აღარ არის საქართველოს შიდა პროცესებზე, აქ საუბარია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების გაფუჭებაზე. ეს არ არის მხოლოდ ვიღაც ლომჯარიასა და გიგაურის პრობლემა, ეს უკვე სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემაა.

ამიტომაც არის საჭირო ყველა თანხის გამჭვრვალობა. ამის შემდგომ, ბუნებრივია, ჩვენს საგადასახადო სისტემას, ფინანსურ თუ იუსტიციის სისტემას სახელმწიფო მოაქცევს ერთ ფორმატში, რადგან არ შეიძლება ასე მოძრაობდეს თანხები სახელმწიფოში და ეს გავლენას ახდენდეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. რაც მთავარია, ამ საერთაშორისო ფონდების ინტერესების გამტარებლად საქართველოს მოქალაქეები იქცნენ ისე, რომ საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაზიანების საფრთხე გაჩნდა. არც ერთი სახელმწიფო არ დაუშვებს ამას.

- ცნობილი გახდა, რომ სამოქალაქო აქტივისტი ნატა ფერაძე, ოჯახთან ერთად, ქვეყნიდან გაქცეულა, რასაც მისი თანამოაზრეები გულისტკივილით აზიარებენ და არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, მალე მათი ჯერიც დადგეს... სად გარბიან ეს ადამიანები, აკი, სახელმწიფო გადატრიალებაზე ოცნებობდნენ?

- ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასა თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს არიან ამოფარებული, რეალურად ვერაფერს მიაღწევენ, რადგან მათი რესურსი ამისათვის საკმარისი არ არის. სახელმწიფო კი არ დაუშვებს გარედან იმ რესურსის შემოტანას, რამაც შეიძლება დესტაბილიზაციის კერები გააჩინოს. ვერ შეძლებენ ესენი სახელმწიფოს იმგვარად შერყევას, რამაც შეიძლება ხალხი სერიოზულ დაპირისპირებამდე მიიყვანოს. ეს გვაჩვენა 29 აპრილის აქციამ, თავად ამ ძალების აქციებმა და 17-მა მაისმა.

17 მაისს, როცა მილიონამდე ადამიანი გამოვიდა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც კანონთან დაკავშირებით ხელისუფლების პოზიციას არ იზიარებენ და ისეთებიც, - რომლებიც ამბობენ, რომ დიახ, ეს კანონი აუცილებლად უნდა მივიღოთ. თუმცა, 17-მა მაისმა ყველას გვაჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის ინტერესი და სურვილი ქვეყანაში მშვიდობაა. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ამიტომ ვერანაირი ძალა, ვერც ევროპული, ვერც ამერიკული, ვერც აღმოსავლური ვერ მოაწყობს იმგვარ მაიდანს, როგორიც იყო კიევში.

დღეს ჩვენი სახელმწიფო ინსტიტუტები კიდევ მეტად გაძლიერებულია, ვიდრე აქამდე ყოფილა. სახელმწფო გადატრიალებას კი სჭირდება, უპირველესად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და სახელმწიფო მართლწესრიგის ორგანოების დემორალიზაცია. შიგნიდან გადატრიალება ვერ მოხდება, გარედან კი გადატრიალების საფრთხე არ არსებობს, რადგან მსოფლიოს გლობალური მოთამაშეების მხრიდან, საქართველოს მშვიდობიანობის ინტერესი უფრო დიდია, ვიდრე ხელისუფლების შეცვლის ინტერესი. შეიძლება თქვან, რომ რაღაც ნაწილში არ მოსწონთ ჩვენი კანონი, მაგრამ ისინი ხელს არ შეუწყობენ დესტაბილიზაციას საქართველოში, რადგან დესტაბილიზაცია ნიშნავს შუა დერეფნის პროექტის ჩავარდნას, რაც ევროპისთვის რუსეთზე გამავალი დერეფნის ალტერნატივაა. მშვიდობიანი საქართველო სჭირდება ჩინეთსაც, ევროკავშირსაც და თურქეთსაც, როგორც დერეფანი, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობისთვის.

საქართველოს ხელისუფლება არ არის არც ევროკავშირის მოწინააღმდეგე და არც აშშ-ის მტერი, ისევე, როგორც არ არის თურქეთის და ჩინეთის მტერი, ვისთანაც სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულებები გვაქვს გაფორმებული. ამავდროულად, ხელისუფლება ცდილობს, ოკუპანტ რუსეთთანაც ურთიერთობები ისე მოაწყოს, რომ ქვეყნის დეოკუპაციას მიაღწიოს. ეს არის ჩვენი ქვეყნის აბსოლუტურად ლეგიტიმური ინტერესი, რაც ძალიან კარგად ესმით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებში და, მათ შორის, მოსკოვშიც. საქართველოს ხელისუფლება არასდროს აღიარებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს ცალკეულ სახელმწიფოებად. ეს მდგომარეობაც, რაც დღეს საქართველოშია, მიჩენს განცდას, რომ მშვიდობის მომხრეთა გამარჯვება, საბოლოო ჯამში, საქართველოს გაამარჯვებინებს. ყველაფერს დავინახავთ ოქტომბრის არჩევნებზე, როდესაც ხალხი მხარს დაუჭერს მას, ვისიც სჯერა. შემდეგ კი, საქართველოს წინსვლას უკვე 2024 წლის არჩევნებით მოსული ხელისუფლება, პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ არჩეული პრეზიდენტი განაგრძობს და იმედი მაქვს, ჩვენი სახელმწიფო კიდევ უფრო გაძლიერდება.

ნონა ქარქაშაძე



სრულიად ნორმალურია იყო გეი

ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილ როთი

„დიდი კარდჰუს ერი“

3 გვ.

და ამაზე მეტი ლუსტრირება რაღა არის — გადაეჭდვნენ ერთმანეთის დამბანი ხელები.

ქართველი „ჩვეულებრივი ლიბერალი ნაცები“ ხარობენ, ფიცოს ესროლეს, ახლა ორბანს და მათნაირებსაც მოუწევთ სიცოცხლის ჩაუშესკუსავით დასრულებაო, „მათნაირები“ ვინ არიან, მკითხაობა არ უნდა...

ყალბი შინაარსის შემცველი სიტყვები „მეგობრობა და სტრატეგიული პარტნიორობა“ გაშიშვლებულად წარმოგვიდგა ამ დღეებში „რაღაც დასავლეთის“ თბილისში სტუმრობისას. თურმე „ქართული ოცნების“ განცხადებები „გლობალური ომის პარტიასა“ და დასავლეთის შეთქმულების შესახებ, კონსპიროლოგიური განცხადებები ყოფილა.

გულით გვინდა დავუჯეროთ „ძია სემს“, მაგრამ თვითვე გვაცლიან საფუძველს, როდესაც არასდიდებით არ უნდათ გამოაშკარავდეს იმ თანხების განკარგვის მიმართულებები, რომელსაც ნჯოებს ასე გულუხვად აძლევენ; აშშ-ის დაზვერვის ყოფილი მაღალჩინოსანი სკოტ უილიამ რიტერი ღიად გვეუბნება, რომ აშშ საქართველოში სამხედრო გადატრიალებას ამზადებს, რათა შეცვალოს ხელისუფლება; აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მრჩეველი ჯეიმს კარდენი წერს, რომ ვაშინგტონმა უნდა შეწყვიტოს კავკასიის საქმეებში ჩარევა; ემილ კოსმანი ვიდეომიმართვით გავიცანით: „მინდა შევადარო, სავარაუდოდ, რა გააკეთეს ქართველებმა და რა გააკეთეს ამერიკელებმა. პოლიცია არ არის კერძო ინსტიტუტი, ის სახელმწიფოს ეკუთვნის. „როიტერის“ თანახმად, საქართველოს მთავრობამ არაერთხელ გამოიყენა ცრემლსადენი გაზი, წიწაკის სპრეი და წყლის ჭავლი მომიტინგეების წინააღმდეგ, რომლებიც თითქმის ყოველდღე აწყობენ აქციებს. ეს ნიშნავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები და წამქეზებლები უწევენ ორგანიზებას — ჩემს სამყაროში, საიდანაც მე მოვდივარ, ვიცი, რომ ეს არის ანბანივით უმარტივესი და თუ ეს არ იცი, წაიკითხე!

დემონსტრაციები თითქმის მთელი თვეა გრძელდება „უცხოური აგენტების კანონპროექტის“ წინააღმდეგ, ამიტომ ისინი იყენებენ ცრემლსადენ გაზს, წიწაკის სპრეის და წყლის ჭავლს.

მოდით, ვნახოთ, ეს ბიჭები (აშშ-ის პოლიცია) რას იყენებენ, — ქიმიურ საშუალებას, რომ ისრაელის საწინააღმდეგო აჯანყება დაასრულონ. რისთვის? რატომ გვაქვს ჩვენ ეს ნაგავი? ამისთვის?

აქ ეს მისაღებია და დასაშვებია, მაგრამ იქ, საქართველოში, ამის გაკეთება არ შეიძლება!

არიზონას პოლიციამ მიტინგი უკანონოდ გამოაცხადა და მოუწოდეს მომიტინგეებს, დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ საპროტესტო არეალი. მათ ამ მიზნის მისაღწევად ქიმიური საშუალებაც კი გამოიყენეს.

ახლა მითხარით, რატომ არ არის კარგი რაღაცის გაკეთება საქართველოში, რომელიც უცხო ქვეყანაა და მათ შეუძლიათ აკეთონ ის, რის გაკეთებასაც საჭიროდ მიიჩნევენ და რატომ არის, რომ ამის გაკეთება ჩვენთან სწორია?

რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ საქართველოში არსებული მთავრობის ჩამოგდება გვინდა, რომ ამ ბიჭებმა სომხეთთან ერთად მეორე ფრონტი გახსნან რუსების წინააღმდეგ კავკასიაში და ეს არის ამის ერთადერთი მიზეზი. ჩვენ შემთხვევაში კი, ერთადერთი მიზეზი ისრაელია.“

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი მრჩეველი ჯეიმს კარდენი ოფიციალურ ერევანს არიგებს, რომ გამოიტანონ დასკვნები კიევისა და თბილისის გამოცდილებიდან, რომელთაც სჯეროდათ კოლექტიური დასავლეთის არაგულწრფელი დაპირებების ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ, რადგან ეს არის გზა, რომელიც უკიდურესად საშიშია მისთვის, ვინც მას მიჰყვება, — მეტი რაღა ქნან და თქვან მშვიდობისმოყვარე ამერიკელებმა, სხვაგვარად როგორ დაგვიდგნენ მშვიდობის სადარაჯოზე?

მაია ჯელიძე

უნივერსიტეტების დიდი ნაწილი ფასეულობა-დაკარგული ადამიანების სამჭედლოდ იქცა

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე:

ტაძრისკენ მიმავალი გზა — სვლა ჭეშმარიტი თავისუფლებისკენ

17 მაისს ოჯახის სიწმინდის დაცვისა და მშობელთა პატივისცემის დღეს, მთელი ქვეყანა გაერთიანდა. მილიონზე მეტი ქართველი ქუჩაში გამოვიდა. გაცხადდა, რომ ტაძრისკენ მიმავალი გზა ჭეშმარიტი თავისუფლებისკენ სვლის გზაა. ქართული საზოგადოება ეროვნული ფასეულობებისა და ღირებულებებისადმი ერთგულებას ირჩევს. ღონისძიება იმდენად მასშტაბური იყო, რომ, როცა საზეიმო მსვლელობაში მონაწილე საზოგადოება ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძარში მივიდა, ხალხს რუსთაველის გამზირზე ბოლო არ უჩანდა. ეს ერთგვარი გზავნილია მსოფლიოსთვის, რომლის ერთ ნაწილს — გლობალურ დასავლეთს, საქართველო ისევ მისი კოლონია ჰგონია.

17 მაისს მილიონზე მეტმა ქართველმა მხარი ეროვნულ ფასეულობებს დაუჭირა. ეს გარდამტეხი დღე იყო. ყველა ქართულ ოჯახს ვულოცავ ამ დღეს და მადლობა მათ ამ დიდი წვლილისთვის, რაც საქართველოს მომავალი სუვერენიტეტის განმტკიცებაში შეიტანეს.

დიახ, ამ დღეს ყველა კითხვას პასუხი გაეცა. დარწმუნებული ვარ, 17 მაისი ხელისუფლებისთვის ნდობის ძალიან სერიოზული კრედიტია. მთავრობამ ხელიდან არ უნდა გაუშვას შესაძლებლობა, რათა ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცება ბოლომდე მიიყვანოს. ახლა ცენტრიდანული კი არა, ცენტრისკენული მოძრაობაა დასაწყები. ქართულ პოლიტიკაში ვისაც უმცირესი ავტორიტეტი მაინც გაგვაჩნია, მათი სრული კონსოლიდაცია უნდა მოხდეს. გათითოკაცების დრო აღარ არის, ახლა გუნდურად უნდა ვითამაშოთ. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრის კონსერვატიული ფრთა გაძლიერდეს.

ამის პარალელურად, დასავლეთის ზეწოლა ქვეყანაზე კვლავ ძლიერდება — გაისმის მოწოდებები ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების, ქვეყნისთვის გარკვეული პრეფერენციების შეზღუდვისა და სხვა ღონისძიებების შესახებ. ამას მხოლოდ ერთი დატვირთვა აქვს: ქვეყანაში არსებულ დესტრუქციულ ძალებს ეუბნებიან, ჩვენი მხარდაჭერის იმედი გქონდეთო. დასავლეთს სურს, საქართველოში 2014 წელს უკრაინაში მოწყობილი მაიდანი გაიმეოროს, რაც მსხვერპლითა და უკრაინის სახელმწიფოებრიობის დაკარგვით დასრულდა. პროცესი დღემდე გრძელდება. ეს არჩევანი უკრაინელ ხალხს არ გაუკეთებია. 5 მილიარდი მხოლოდ იმისთვის დაიხარჯა, რომ რევოლუციური მიზნების მისაღწევად რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოესყიდათ და გადაებირებინათ.

დასავლეთი სენატის, კონგრესის, ყოფილი ელჩებისა თუ გაცვეთილი ევროპარლამენტარების — ფოტიგას, კუბილიუსის, კრამონისა და სხვათა განცხადებებს არ დასჯერდა და თბილისში სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები, ასევე, ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე გამოგზავნა. ამ ხალხს ვერც მინისტრებს ვუწოდებ და ვერც მეგობრებს. რაც მათ იკადრეს, არც პოლიტიკური ეთიკის ფორმატში ჯდება და არც დიპლომატიის გამოხატვის ფორმაში.

მენტალური ოკუპაცია

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ შევძელით იმ ბოროტი ძალების გაკონტროლება, რომელთაც ახალგაზრდა თაობაზე უარყოფითი გავლენის მოხდენა სცადეს. სკოლებში შეაღწია ლიტერატურამ, რომელიც ლგბტქ+-ის პროპაგანდას ეთმობა, რისთვისაც სპეციალურად გრანტების გამოყოფა ხდება.

საქართველოში 25 ათასი ენჯეოა. მათ დასაფინანსებლად ყოველწლიურად 400 მილიონი ლარი შემოდიოდა. აქედან, მხოლოდ შვიდი ორგანიზაცია, შარშან 85 მილიონი ლარით დაფინანსდა, რომლის მხოლოდ 18% მოხვდა წლიურ ბალანსში, დანარჩენი თანხა სად წავიდა, სახელმწიფომ არ იცის. აი, გამჭვირვალობის კანონის მიღების გარდუვალობის მიზეზი. ამ ბოროტმა ძალებმა უნივერსიტეტებშიც შეაღწიეს, სადაც სტუდენტების მენტალური ოკუპაცია მოახდინეს. მაგალითად, „ილიაუნი“ კრაზანების ბუდედ იქცა. „თავისუფალი უნივერსიტეტი“ კი ბევრი ფასეულობადაკარგული ადამიანის სამჭედლოა, რომელმაც მასკულტურა აირჩია და ქართული იდენტობა უარყო. ჩვენ, რეალურად, მომავალ თაობასთან კავშირი დავკარგეთ. ახალგაზრდობა ჩაფლული აღმოჩნდა იმ სახიფათო სოციალურ ექსპერიმენტებში, რასაც კონკრეტული ენჯეოები მათთან დაკავშირებული გეიპოლიტიკური პარტიების მხარდაჭერით ახორციელებდნენ. ფაქტის წინაშე დავდექით. მაგალითად, გრიგორიადისის უკან არსებულმა პიარკამპანიამ დაგვანახა, რა ბოროტ ძალებთან გვაქვს საქმე. ისინი თავს მარტივად არ დაგვანებებენ.

როცა დაფინანსებაზე ვსაუბრობთ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ფული ბოროტი ძალების ხელში მთავარი ინსტრუმენტია. 85 მილიონი ლარით შვიდი ენჯეოს დაფინანსება გვაფიქრებინებს, რომ ეს მილიონები სწორედ რევოლუციური პროცესის გასაძლიერებლად იხარჯება. გეგმის მიხედვით, რევოლუცია 2024 წლის 27 ოქტომბერს — არჩევნებიდან მეორე დღეს უნდა დაწყებულიყო. ივანიშვილმა 29 აპრილს კვაზი ოპოზიციაზე განაცხადა კიდეც, რომ ისინი არჩევნების შემდგომ გამოსაყენებელ რესურსს ახლა ხარჯავენ.

მიხაილ როთის მზაკვრული გეგმა

რაც შეეხება მიხაილ როთის განცხადებას, მან შეურაცხყოფა მიაყენა ქართველ ერს, როცა საქართველოს ეკლესია უარყოფით კონტექსტში ახსენა. ასევე კნინობით ფორმაში მოიხსენია ეკლესიის მიერ ხელისუფლების მხარდაჭერა. მან ისიც კი არ იცოდა, რომ ეკლესიას საქართველოს სახელმწიფოსთან კონკორდატით გათვალისწინებული საკონსტიტუციო შეთანხმება აქვს გაფორმებული. ეკლესია არ ერევა სახელმწიფოს საქმეებში, მაგრამ მისი განსაკუთრებული როლი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე, პირდაპირ ჩაწერილია საქართველოს კონსტიტუციაში. როთმა ეს განცხადება შეგნებულად გააკეთა, რადგან მართლმადიდებლური ეკლესია, ყველა კვლევის თანახმად, ქართველი ერის მაკონსოლიდირებელი მთავარი ავტორიტეტული ორგანოა. როთის განცხადება ჩვენი მთავრობის მხრიდან გერმანიის მთავრობისადმი საპროტესტო ნოტის საფუძველია. ასეთ დროს ნებისმიერ ქვეყანაში ელჩს დაიბარებდნენ და საპროტესტო ნოტას გადსცემდნენ. ამ აღიარებულ მამათმავალს აქ ფეხიც არ უნდა დავადგმევინოთ. ასეთ პირს რომ ტაშს დაუკრავს, ის საზოგადოება დამთავრებულია.

როთის მთავარი მზაკვრობა იცით, რა იყო? — მან ეკლესიას ახალგაზრდობა დაუპირისპირა. ეს პირდაპირ ქვეყნის ინტერესების საზიანოდ განხორციელებული ბოროტებაა. მან პირდაპირ თქვა, რისი მომცემია ხელისუფლებისთვის ეკლესიის მხარდაჭერა, როცა ახალ-

გაზრდები განცალკევებით დგანანო. მან ეკლესია და ახალგაზრდობა დააპირისპირა, რადგან ამ უკანასკნელის მცირე ნაწილი, რომელიც რუსთაველზე დგას, დასავლეთისთვის ქვეყნის რყევის გამოსაწვევად ერთადერთი ხელჩასაჭიდია.

2004 წლიდან საქართველო გარე მართვაზეა გადაყვანილი — ქვეყანა არასამთავრობოების ხელით იმართება. მეცნიერება, ინტელიგენცია საშუალო კლასმა ჩაანაცვლა. არასამთავრობოების სახით მოვლენილი ფსევდოლიბერალები და ფსევდოინტელიგენტები იმას აკეთებენ, რასაც მათგან „სოროსის ფონდი“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, „ადენაუერის ფონდი“, „ბიოლის ფონდი“ და ა.შ. ითხოვს. როთმა ნიშნის მოგებით გვითხრა, საქართველოდან ტვინების გადინება თქვენი ქვეყნისთვის სრული კატასტროფა იქნებაო. აქცენტი შემდეგზე გააკეთა, ჩვენ ამ ახალგაზრდებს, მათ ინტელექტს, ცოდნას, გამოცდილებას, უნარებს ვყიდულობთ იმისთვის, რომ თქვენ ხვალ ქვეყნის საკეთილდღეოდ ცოდნის ეკონომიკაზე დაფუძნებული მოგება ვერ ნახოთო. ანუ, ახალგაზრდებს წაგართმევთ, მათ გავზრდით, პლაზმას, ფასეულობებს შევუცვლით, მერე ისინი ხელისუფლების სათავეში გვეყოლება და ასე დავამთავრებთ საქართველოსო.

გლობალური ომის პარტია — მითი თუ რეალობა

„გლობალური ომის პარტია“ ძალიან ზუსტად მორგებული სახელწოდებაა იმ კონსოლიდირებული ბორიტებისა, რომელიც სლავი ხალხის ხოცვით მილიონებს შოულობს. უკრაინაშიც და რუსეთშიც გლოვაა იმის გამო, რომ სლავები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ამის უკან კი დიდი გაერთიანებული სამხედრო ბიუჯეტი დგას, რომელსაც „გლობალური ომის პარტია“ მართავს. სად არის ამ პარტიის შტაბბინა? — რა თქმა უნდა, ვაშინგტონში, ლონდონში, ბრიუსელში. ეს გახლავთ გლობალისტური ულტრალიბერალური ფასეულობებისადმი ერთგულების გეოპოლიტიკური ცენტრი, რომელსაც განზრახული აქვს, სისრულეში მოიყვანოს ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში დაწყებული პროცესი, რითაც გლობალური დასავლეთი გლობალურ აღმოსავლეთს დაუპირისპირდა. ამ პროცესებს მოჰყვა რუსეთის წინააღმდეგ დაწყებული გლობალური ომები, შემდეგ ოპიუმის ომები ჩინეთში და ა. შ. 2022 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომიც ამ პროცესის ნაწილია. გლობალურ დასავლეთს რომ მოენდომებინა, ამ სისხლისმღვრელ ომს აუცილებლად აარიდებდა და უკრაინელ ხალხს საკუთარი ნების წინააღმდეგ ძმათა მკვლელ ომში არ ჩართავდა. „გლობალური ომის პარტია“ უკვე ორი წელია, ამ ტრაგედიიდან საკუთარ დივიდენდებს იღებს. ეს გახლავთ სამხედრო სამრეწველო კომპლექსი.

პრეტენზიები ჩვენს მიმართაც იყო: გლობალური დასავლეთი გვეუბნებოდა, თქვენ ვალდებული ხართ, გვერდში დაგვიდგეთ და თქვენი წილი მსხვერპლი გაიღოთო. გავიხსენოთ ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მიერ გაკეთებული განცხადება, ჩრდილში ვერ დარჩებითო. ანუ, მეორე ფრონტის გახსნაზე პირდაპირი მოთხოვნა ჟღერდებოდა. ყველას გვახსოვს ბენ ჰოჯესის განცხადება: დროა, სამაჩაბლოში, აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყოთ და ომის სიმძიმე თქვენს თავზე აიღოთო. ეს სხვა არაფერია, თუ არა მეორე ფრონტის გახსნის იდეა, საქართველოს საზარბაზნე ხორცად ქცევა, რაც საქართველოს მოსახლეობის გაწყვეტის, ტერიტორიების რღვევის ხარჯზე უნდა მომხდარიყო.

საბედნიეროდ, ქართული სახელმწიფო მშვიდობისკენ სწრაფვას ინარჩუნებს. მთავარია, ქვეყნის შიგნით რყევები შეწყდეს და სტაბილური განვითარების რელსებზე გადავიდეთ.

თამარ შველიძე



შეიგნოს დასავლეთმა, რომ საქართველო სახელმწიფოა და პატივი სცეს!

გვესაუბრება „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელი ლევან მამალაძე:

— ბატონო ლევან, გამჭვირვალობის კანონის მესამე მოსმენით მიღებას დასავლეთის მხრიდან მწვავე კრიტიკა მოჰყვა. რა საფრთხეს უქმნის მათი მუქარა ქვეყნის სუვერენიტეტს?

— პარლამენტმა კანონი მესამე მოსმენით დაამტკიცა, რასაც ზურაბიშვილმა ვეტო დაადო. უცხოეთმა მას ევროატლანტიკური მომავლის „დაცვა“ უკვე მოუწონა. არადა, თავად კანონის შინაარსის განხილვაში არავინ შედის. მსგავსი კანონი ბევრად მკაცრი ფორმით მოქმედებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ამერიკაში „ფარას“ კანონი 30-იანი წლებიდან მოქმედებს, რომელიც ფიზიკურ პირებზეც ვრცელდება და დეკლარაციის შეუვსებლობის შემთხვევაში, მათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც ეკისრებათ. ჩვენი კანონი ძალიან ლოიალურია. მაშ, რატომ ეწინააღმდეგებიან ამ კანონს, რას მალავენ? გამჭვირვალობის წინააღმდეგ საფუძვლიანი არგუმენტი არ არსებობს. ამიტომ საზოგადოების გონებაში ჩასაბეჭდად ყურისმომჭრელი ფრაზა — „არა რუსულ კანონს“ მოიგონეს, თან გაიძახიან, ეს ევროინტეგრაციასთან წინააღმდეგობაში მოდისო. სინამდვილეში, კანონს ეწინააღმდეგებიან იმიტომ, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს, არ განიხილავენ და არც მის სუვერენიტეტს სცემენ პატივს. აქ კანონის შინაარსზე არ არის ლაპარაკი, არამედ დასავლეთს საქართველოს პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის დაკარგვა არ უნდა.

ქუჩაში თვეზე მეტია აქციაპერფორმანსები მიმდინარეობს, რასაც მედია აქტიურად აშუქებს. გარდა ამისა, ჩამოჰყავთ უცხოელი დიპლომატები, მინისტრები, რომლებიც აქციებზე ოპოზიციისადმი მხარდაჭერას ღიად აფიქსირებენ. ეს დაფინანსების ერთიან ჯაჭვში ექცევა. დასავლეთი გვეუბნება, ჩვენი გავლენისგან თავის დაღწევას თუ ეცდებით, ევროკავშირში გაწევრიანებას დაემშვიდობეთო. ბრძოლა გავლენების შენარჩუნებაზე მიდის. გამჭვირვალობის კანონის ამოქმედება, ჩვენი სუვერენიტეტის დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. რევოლუცია ორჯერ უკვე მოგვიწყვეს — ერთხელ, 1991 წელს რუსების დახმარებით, მეორედ, 2003 წელს დასავლეთის ხელშეწყობით. ახლაც იგივე სცენარი მზადდება. ეს სწორედ ის პროცესია, რამაც „ფერადი რევოლუციების“ სახელწოდებით სხვადასხვა ქვეყნებს გადაუარა. საქართველოში ამ ტექნოლოგიას ყავლი გაუვიდა. დასავლეთი შიშობს, არ დაკარგოს ის ბერკეტი, რითაც ჩვენს ქვეყანას მუდმივ მორჩილებაში ამყოფებს.

— თავად ევროკავშირში შესვლით სუვერენიტეტს არ ვთმობთ?

— ნებისმიერ გაერთიანებაში შესვლა სუვერენიტეტის ნაწილის დათმობას ნიშნავს. თუ ევროკავშირში ჩვენი იდენტობით შევალთ, ეს სუვერენიტეტის დათმობა კი არა, არამედ კანონების გარკვეულ ჩარჩოში მოქმედებაა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ევროკავშირს რომელიმე წევრ ან თუნდაც კანდიდატ ქვეყანაში რევოლუციის მოწყობა შეუძლია. ევროკავშირში შესვლით სუვერენიტეტის ნაწილს თმობ, მაგრამ იქ უნდა შეხვიდე როგორც პარტნიორი და არა მორჩილი ჭანჭიკი. ევროკავშირი ჩვენი გარანტია და განვითარების გარკვეული საშუალება იქნება. აი, რა გვიზიდავს იქ, თორემ იდეების მხრივ, მიზიდულობა გამქრალია.

დავაკვირდეთ, როგორი საზოგადოება ყალიბდება, რა არის პრიორიტეტული, როგორ იცვლება ფასეულობები. ბევრი რამ ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენი ოპოზიციური პოლიტელიტა გაშმაგებით იბრძვის, რომ აშშ-მ სანქციები დაგვიწესოს, ევროპამ დაგვსაჯოს, ანუ, ქვეყანას პრობლემები შეექმნას. ცხადია, ჩვენი მეხუთე კოლონა საქართველოს ინტერესებს არ ემსახურება. დასავლეთს სთხოვენ, გადატრიალება მოაწყვეთ და ხელისუფლებაში მოგვიყვანეთო. ამ პროცესში ახალგაზრდებს როგორც ერთ-ერთ საშუალებას ისე იყენებენ, რათა ამ მიმართულებას მასობრიობა მიანიჭონ. ენჯეო სექტორის დაფინანსების წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ თანხა პოლიტიკური სისტემის ჩამოშლის, გადატრიალების მოწყობისთვის არ უნდა იქნას გამოყენებული.

ზემოთ „ფერადი რევოლუციები“ ვახსენე. გავიხსენოთ მაიდანზე განვითარებული მოვლენები, გაიძახოდნენ, ხელისუფლება უვარგისია, ხალხი თავისუფლებას ითხოვსო. იანუკოვიჩის ხელისუფლებამ სიმტკიცე ვერ გამოიჩინა. მე ცამეტი წელი უკრაინაში ვიცხოვრე და კარგად ვიცი, იქ რაც ხდებოდა. უკრაინის ხელისუფლებას მაშინ პირდაპირ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი კურირებდა. კაბინეტში ვიჯექი, როცა მან დარეკა და იანუკოვიჩს უთხრა, თუ მომიტინგეების დაჭერას დაიწყებთ, მაშინვე გაგიყინავთ იმ ფინანსებს, რაც ევროპაში გაგაჩნიათო. ანუ, იმ ვანდალების, რომლებიც პოლიციელებს ცოცხლად წვავდნენ, დაკავების უფლება არ მისცა. შედეგად, ხელისუფლებამ სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულება არ შეასრულა. ქვეყანაც ჩამოშალეს. რუსეთს კი საფუძველი შეუქმნეს, ემოქმედა.

თვალსაჩინოებისთვის შევადაროთ უკრაინის მაშინდელი მდიდარი ხელისუფლებისა და ივანიშვილის მოქმედება. ბატონი ბიძინა უდიდესი ზეწოლის ქვეშაა: მოგებული თანხა — ორი მილიარდი გაუყინეს, სანქციებით ემუქრებიან, საქართველოდან ვერ გადის. დასავლეთი ცდილობდა, ივანიშვილი დაეთანხმებინა, ქვეყანაში სტაბილურობის, მშვიდობის გარანტი არ ყოფილიყო და იგივე, რუსეთთან კონფლიქტში შესვლის თვალსაზრისით, მისი დაკვეთა შეესრულებინა. ბატონმა ბიძინამ ეს არ გააკეთა. საქართველო სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხის წინაშეა. განა ივანიშვილს არ უნდა დავუფასოთ, რომ მილიარდები ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფაზე არ გაცვალა?! ეს ხომ უნდა დავინახოთ. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ახალმა პრემიერმა, ამ ახალგაზრდა კაცმა სახელმწიფოს მართვის უნიკალური ცოდნა გამოავლინა. რაც მთავარია, იგი ქვეყნის ინტერესებს პირნათლად იცავს.

— ოპოზიცია ამბობს, თუ დასავლეთი მწვავე განცხადებებს ქმედებებში გარდაქმნის, ქვეყანა იზოლაციაში აღმოჩნდებაო. კანონთან მიმართებით, რა კომპრომისისთვის შეიძლება იყოს მზად ხელისუფლება?

— კომპრომისის თემა აქ უკვე ნაკლებ როლს თამაშობს. კი ბატონო, ამ კანონის განხილვა შეიძლებოდა არჩევნების მერე მომხდარიყო. მაგრამ საქმე ის არის, რომ დასავლეთს ხელისუფლების ჩამოშლა არჩევნებისთვის ჰქონდა დაგეგმილი. ეს სცენარი ახლაც ძალაშია. მერე ზურაბიშვილი იტყოდა, არჩევნები გაყალბდაო, დაქირავებული მეხუთე კოლონაც მხარს აუბამდა და უცხოელ დამკვირვებლებთან ერთად ერთხმად იტყოდნენ, ხელისუფლება ლეგიტიმური არ არისო. ამას ევროკავშირიდან, სენატიდან, კონგრესიდან ანალოგიური შინაარსის გამოსვლები მოჰყვებოდა. ანუ ლეგიტიმაციას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდნენ. შედეგად, ალტერნატიულ ხელისუფლებას შექმნიდნენ და სახელმწიფოს იმდენად შეარყევდნენ, რომ ამ ყველაფერზე უკვე რუსეთი მოახდენდა რეაგირებას, აქ შემოსვლის მიზეზს მოიფიქრებდა, ტანკებით გორის გზას გადაკეტავდა და თბილისშიც შემოვიდოდა. ამ სცენარით სუვერენიტეტს ვკარგავდით. ამ კანონის მიღებისთანავე სცენარების ამოქმედება დაიწყო. ანუ, იმ პროცესების ლუსტრაცია მოხდა, რაც არჩევნების დროს უნდა განვითარებულიყო.

რაც ახლა თბილისის ქუჩებში ხდება, ჩვეულებრივი „ფერადი რევოლუციების“ ტექნოლოგიაა. ის, რომ გერმანიიდან დ სხვა ქვეყნებიდან გათხოვილი „ვაჟკაცები“ ჩამოვიდნენ და ოპოზიციის მხარდამჭერ მიტინგზე გამოვიდნენ, ამ ტექნოლოგიის შემადგენელი ნაწილია, რაც ასევე დაფინანსებულია. როგორ წარმოგიდგენიათ, ჩვენგან მინისტრი ევროპაში ჩავიდეს და იქ ხელისუფლების მიმართ საპროტესტო მიტინგზე დადგეს?! ეს ხალხი ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოდ არ განიხილავს და რაც უნდათ, იმას აკეთებენ. საზოგადოება რეალურ სურათს ვერ ხედავს. დასავლეთმა უნდა გაიგოს, რომ ფერადი რევოლუციების დრო დამთავრდა და ჩვენს ქვეყანას პატივი სცეს.

დასავლეთმა უნდა გაიგოს, რომ საქართველო სახელმწიფოა, კეთილი ინებოს და პატივი გვცეს. ხელისუფლების გადაყენება უნდათ, მაგრამ სტატუსი მაინც მოგვცეს, რადგან საქართველოს მნიშვნელობა, გეოპოლიტიკური დატვირთვა, მისი ფასი გაიზარდა. სტატუსი რომ არ მოეცათ, შეიძლება საქართველო დაეკარგათ. აშშ-ც და ევროპაც ნელ-ნელა ეჩვევა, რომ სახელმწიფო ვართ, ჩვენი საზოგადოება მომწიფდა და ისე ადვილად ვეღარ გააკეთებენ იმას, რასაც ადრე აკეთებდნენ. ო'ბრაიენმა და სხვებმა იციან, რომ რევოლუციის მოწყობა განუხორციელებელი გეგმაა, რადგან ეს რუსეთის მხრიდან შესაბამის მოქმედებას გამოიწვევს და დასავლეთი საერთოდ ყველაფერს დაკარგავს. აი, ამ ჭიდილში ვართ.

— ბატონო ლევან, სადამდე ეყოფათ პროტესტის გამოსახატად რესურსი, მოვლენების განვითარება როგორ გესახებათ?

— ახალგაზრდებმა არ იციან, რაზე დგას ქართული სახელმწიფო, რა არის ჩვენი ეროვნული იდეა, როგორ უნდა განვითარდეს ქვეყანა. მათ ამას არავინ უხსნის, რადგან თავად ლექტორებმაც არ იციან. სტუდენტი ამბობს: „არა რუსულ კანონს“ და ლექტორი ვერ უხსნის ამ ლოზუნგის აბსურდულობას. განათლების სისტემა არ არის მიმართული იმისკენ, რომ მოქალაქეები გაზარდოს. საქართველოში განათლების სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს კი არა, სხვა ქვეყნის მოქალაქეებს ზრდის. სამშობლოს, სახელმწიფოს გაძლიერების განცდა არ არის. ლექტორებისთვის გადამზადების ცენტრები უნდა გაკეთდეს. ლექტორი მხოლოდ საგნის მასწავლებელი არ არის, იგი სტუდენტს აზრის ფორმირებაში უნდა ეხმარებოდეს, რათა მან ქვეყნის გაძლიერებისთვის იზრუნოს და არა სხვისი დავალებების შესასრულებლად. ეს ხელისუფლების პასუხისმგებლობაა.

თამარ შველიძე

29 აპრილს ბიძინა ივანიშვილმა 200 000 ქართველის წინაშე ანტიკოლონიალური ამბოხება გამოაცხადა

„საერთო გაზეთთან“ საუბრობს პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი გოგავა

- ბატონო ირაკლი, ოთხი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტი, მათი ხისტი განცხადებები და განსაკუთრებით მათი გამოჩენა აქციაზე, ხელისუფლების მხრიდან შეფასდა, როგორც მიუღებელი ქცევა. მსგავსი დამოკიდებულებები შესაძლოა, ერთგვარ წინაღობად იქცეს საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე...

- სამწუხაროდ, უცხოელები ვერ ხვდებიან, თუ რა მოხდა 29 აპრილის საერთო სახალხო შეკრებაზე. იქ, რუსთაველზე, ბიძინა ივანიშვილმა 200 000 ქართველის წინაშე ანტიკოლონიალური ამბოხება გამოაცხადა. საქართველო სუვერენიტეტის გზას დაადგა. ხალხი და ხელისუფლება ამ საკითხში ერთიანია და ამ ერთობის დამარცხება შეუძლებელია. 2004 წლიდან საქართველო სრულიად გარედან იმართებოდა. მარიონეტი, უპრინციპო სააკაშვილი მოიყვანეს ხელისუფლებაში სახელმწიფო გადატრიალების გზით და რეალურად ისინი მართავდნენ ამ ქვეყანას არაადამიანური მეთოდებით. გაძარცვეს და აწამეს ქართველი ხალხი, ბოლოს კი ომში ჩართეს და მიაგდეს. ახლაც იგივეს გვიპირებენ, ხელისუფლება კი მათ ამ სურვილს არ უსრულებს და ამიტომაც გადაწყვიტეს გადატრიალების გზით მისი შეცვლა.

ტრადიციულად, ისინი ხვდებიან მხოლოდ იმ ჯგუფებს, რომლებსაც თავად აფინანსებენ. შემდეგ ამ ჯგუფების ნათქვამს აიგივებენ ქართველი ხალხის პოზიციასთან. ფაქტობრივად, საკუთარ თავს ელაპარაკებიან და თავიანთივე ყალბი კვლევების ციფრებს აჟღერებენ - ასეთია ტექნოლოგია. რეალურად კი, ამ უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის საკითხში მოსახლეობის 80% ხელისუფლებას უჭერს მხარს და მხოლოდ 20%-ია წინააღმდეგი. კიდევ ერთ ციფრს მოვიყვან სოციოლოგიური კვლევიდან: კითხვაზე „თანახმა ხარ თუ არა საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი, თუ ეს გულისხმობს ლგბტ დღის წესრიგის მიღების ვალდებულებას?“, მხოლოდ 12% პასუხობს დადებითად. ასეთია რეალობა, ეს კანონი არ არის კონფლიქტის მთავარი მიზეზი.

- თუ ასეა, მაშინ რა არის კონფლიქტის მთავარი მიზეზი?

- დასავლეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის რეალური მიზეზი არის ხელისუფლების გადაწყვეტილება, გაანეიტრალოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე უცხოური გავლენის ინსტრუმენტი. ეს ინსტრუმენტი შედგება: ასეულობით ენჯეოს, ლიბერალური მედიის, 15 ლიბერალური პარტიისა და ცრუ ელიტისაგან. ისინი უხვად ფინანსდებიან და ემსახურებიან უცხო ქვეყნების ინტერესებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის ინტერესებს. მე ვსაუბრობ მეხუთე კოლონაზე. დასავლეთს არ სურს, დაკარგოს საქართველოზე გავლენის ეს მექანიზმი, მათ არ სურთ, ჩვენთან, როგორც სუვერენულ სახელმწიფოსთან ააგონ ურთიერთობა. 2004 წლიდან ვართ სრულ გარე მართვაზე და და უამრავი პრობლემა მივიღეთ. ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო-დასავლეთის ურთიერთობა სრულად შეესაბამება „მეტროპოლია-კოლონიის“ ურთიერთობის კლასიკურ მოდელს, სადაც საქართველო დასავლეთისთვის იაფი მუშახელის და ბუნებრივი რესურსების (ოქრო, სპილენძი, მეტალი, ფერადი ლითონები, მარგანეცი, ხე-ტყე, დიატომიტი...) წყაროს წარმოადგენს, ხოლო სანაცვლოდ, მათგან სამრეწველო პროდუქციას ვყიდულობთ. ქარხნების აშენება აკრძალული გვაქვს, ამისთვის კრედიტს არ გვაძლევენ.

ამიტომაც არის ჩვენთან სიღარიბე და უმუშევრობა და ხალხიც სამუშაოდ უცხოეთში მიდის. ჩვენ ჩაგვსვეს ე. წ. ვაშინგტონის კონსენსუსის კოლონიალურ მოდელში, რაც ჩვენი მსგავსი განვითარებადი ქვეყნების ხარჯზე განვითარებული ქვეყნების გამდიდრებას გულისხმობს. ივანიშვილის მიერ დაწყებული ანიტკოლონიალური მოძრაობა იქამდეც მიგვიყვანს, რომ ჩვენ შევძლებთ სუვერენული ეკონომიკური გეგმის შემუშავებას და განხორციელებას, რაც საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარების საწინდარია.

- რამდენად რეალურია სანქციების შემოღება უცხოელი პარტნიორების მხრიდან, რომლებიც საქართველოში მიმდინარე მოვლენებს უარყოფითად აფასებენ?

- ფინანსურ სანქციებს ვერ შემოიღებენ, რადგან საქართველოს კონსოლიდირებული უცხოური ვალი 23 მლრდ დოლარია და ქართულ საბანკო სისტემაში 25 მლრდ დოლარი უცხოური კაპიტალია. სანქციები რომ შემოიღონ, ამ 48 მლრდ-ს დაკარგავენ. ამაზე ისინი არ წავლენ. ევროპასთან

უვიზო რეჟიმი იმიტომ შემოიღეს, რომ მათ იაფი მუშახელი სჭირდებათ და არა იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან ვუყვარვართ. ერთი ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში 1 მლნ დოლარის ეკონომიკას ქმნის. ევროპაში 300 000 -ზე მეტი ქართველი მუშაობს, ჩრდილოეთ ამერიკაში 100 000 -ზე მეტი. ისინი მათ ეკონომიკას აშენებენ, გადასახადებს იხდიან და რასაც შოულობენ, უმეტესად, იქვე ხარჯავენ. აქეთაც აგზავნიან, მაგრამ ეს მიზერია იმ წვლილთან შედარებით, რაც მათი ეკონომიკის ზრდაში შეაქვთ. ევროპის ეკონომიკისთვის ქართველებს, მინიმუმ, 6 მლრდ დოლარის სარგებელი მოაქვთ ყოველ წელს. დღეს ევროპაში ოფიციალური სტატისტიკით, 4,5 მილიონი ვაკანსიაა, რომელსაც ვერ ავსებენ. ევროპელები პრაგმატული ხალხია და იმ ტოტს არ გადაჭრიან, რომელზე სხედან. შესაძლოა, პერსონალური შეზღუდვები შემოიღონ და ივანიშვილს ან ხელისუფლების წარმომადგენლებს პარიზში ან ლოს-ანჟელესში ყავის დალევა აუკრძალონ, მაგრამ ეს არ იქნება სერიოზული და, ამასთან, საკუთარი პოლიტიკის მარცხის აღიარება გამოუვათ. მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის კრედიტებს თუ არ მოგვცემენ, სანთელი გვექნება მეორე დღეს დასანთები, რადგან ამ კრედიტებს ისეთი ვალდებულებები მოჰყვება, რომ ჩემს მტერს. მათი ვალის კაბალიდან უნდა ამოვიდეთ როგორმე. ასეულობით მილიონ დოლარს ყოველწლიურად ვიხდით ამ ვალის მხოლოდ პროცენტების დასაფარად. ვაჭრობაში შეზღუდვებს ვერ შემოიღებენ, რადგან აქაც მხოლოდ ევროპელები ყოველწლიურად 2,5 მლრდ დოლარს გვიგებენ.

- აჟიოტაჟი მოჰყვა რამდენიმე დღის წინ საფონდო ბირჟაზე ბანკების აქციების მაჩვენებელთა კლებას და ლარის კურსის ცვალებადობას. რამდენად მყარია ამ მოვლენების მიმართ ჩვენი ეროვნული ვალუტა?

- საქართველოში 14 ბანკიდან 13 უცხოელებს ეკუთვნის. მხოლოდ „ქართუ ბანკია“ ქართული. ბანკების აქციების 90%-ზე მეტს უცხოური ტრანსნაციონალური კორპორაციები ფლობენ. ამიტომ მათ ხელში არსებული აქციების ფასი ლონდონის ბირჟაზე თუ დაიკლებს, ეს ჩვენ ნაკლებად გვეხება, აქციების უცხოელმა მფლობელმა იდარდოს. საერთოდ, თუ განულდება აქციების ფასი, მივესალმები. ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა შეიძინოს ეს აქციები და ქართული საბანკო კაპიტალი მრეწველობის, სოფლის მეურნების განვითარებას მოახმაროს.

- როგორც აღნიშნეთ, დასავლეთს არ სურს ჩვენთან, როგორც სუვერენულ სახელმწიფოსთან ურთიერთობა, როგორ გესახებათ სამომავლოდ საქართველოს როლი ევროპულ ოჯახში?

- ჩვენთან მიმდინარე პროცესი არ არის ანტიდასავლური. ეს ანტიკოლონიალური მოძრაობაა. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაინტერესებს ევროპასთან ურთიერთობის შენარჩუნება მხოლოდ საქართველოს სუვერენული ინტერესების შესაბამისად. ახლა მიდის ევროპელი პოლიტიკოსების გაწვრთნის პროცესი. მათ ძალიან უჭირთ მენტორისა და პატრონის როლიდან გამოსვლა, მაგრამ მოუწევთ. ევროპასთან ახალი ურთიერთობა უნდა ავაგოთ, რომელიც საქართველოს ინტერესებზე იქნება მორგებული. დღეს ასე არ არის და ევროპა, ჯამში, 10 მლრდ დოლარზე მეტის სარგებელს ნახულობს ყოველწლიურად პატარა საქართველოსგან. ეს მიუღებელია.

ყველამ დაინახა, რომ დასავლეთის მეხუთე კოლონამ მარცხი განიცადა, გადატრიალებას ვერ ახერხებენ. ამიტომ ერთადერთი გამოსავალია, რომ დაიწყონ ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემა, დასხდნენ ჩვენთან სერიოზულად სასაუბროდ და ვიღაც მეხუთეხარისხოვანი ჯამბაზები აქ აღარ გამოუშვან. საქართველო არ აპირებს, შეცვალოს გეოპოლიტიკური კურსი, ეს შეუძლებელია, ვიდრე ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მოუგვარებელია. მაგრამ იმასაც არ აპირებს, რომ ვინმეს დაუპირისპირდეს და სხვისი ინტერესების გამო იომოს. მრავალპოლარულ სამყაროში პატარა ქვეყანა ბალანსის პოლიტიკას უნდა აწარმოებდეს. საქართველო იქნება ადგილი, სადაც ყველა ვექტორი გახსნილია და ჩვენგან საფრთხე არცერთ ქვეყანას არ დაემუქრება - დაახლოებით ისე, როგორიც იყო ავსტრია ცივი ომის დროს.

შანტაჟისა და მუქარის ენა საქართველოსთან შედეგს არ გამოიღებს. აგერ, ბიძინა ივანიშვილმა საკუთარ 2 მლრდ-ზე თქვა უარი, რადგან ამ თანხის დაბრუნების სანაცვლოდ, რეალურად ქვეყნის ინტერესების დათმობას სთხოვენ. უცხო ქვეყნებმა უნდა შეწყვიტონ საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევა და ურთიერთობა საქართველოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად უნდა გავაგრძელოთ. ისინი ისე გვექცევიან, როგორც ჯუნგლების ბინადარ ველურ ტომს ექცევა კოლონიზატორი. მათ არ უნდა დაავიწყდეთ, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა 3000 წელს ითვლის. ჩვენ მოვინელეთ ბევრი იმპერია და ყოველთვის ვდგებოდით ფეხზე. წინაპრებმა ისეთი კულტურული და სულიერი კოდი დაგვიტოვეს, რომ ნებისმიერ ჯავშანს სჯობს. დასავლეთი სულიერებისგან დაცლილია დღეს და არ ესმით, რომ ჩვენ მფარველები გვყავს. ისინი ცივილიზაციურად „ახალგაზრდები“ არიან და სჯობს, ჩვენ დაგვიჯერონ.

ველოდები, რომ საარჩევნოდ იქნება სახელმწიფო გადატრიალების კიდევ ერთი მცდელობა, უფრო მწვავე, მაგრამ ასევე მწვავე იქნება ხელისუფლებისა და ხალხის რეაქცია. არჩევნების შემდეგ საბოლოოდ დასრულდება უცხოეთის მეხუთე კოლონის ბოგინი საქართველოში და ჩვენ სხვა საქართველოში გავიღვიძებთ. ის, რაც ივანიშვილმა 29 აპრილს გამოაცხადა, მხოლოდ ანონსია. ქართული პროექტის რეალური განხორციელება არჩევნების შემდეგ დაიწყება და ჩვენ, ხალხი, ამ პროცესს კბილებით დავიცავთ. უკან დასახევი გზა უკვე თავად ჩავხერგეთ. ოქტომბერ-ნოემბერში გველოდება „დიდგორი“ და შემდეგ ის პროცესი, რაც დიდგორს მოჰყვა: ქვეყნის გაერთიანება და ძლიერი, მდიდარი საქართველოს შენება. ეს ეპიკური და, ამავე დროს, სასიამოვნო პროცესი იქნება.

ნონა ქარქაშაძე

საქართველო თავისი სიმტკიცით ბევრ ქვეყანას მაგალითს აძლევს

საერთო გაზეთთან საუბრობს პარტია „ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი

- ბატონო დავით, რამდენიმე დღის წინ საქართველოში ოჯახის სიწმინდის დღე აღინიშნა. რა დატვირთვა აქვს ამ დღეს არსებულ რეალობაში ჩვენი ქვეყნისთვის?

- ეს არის უკვე ტრადიციად ქცეული, ოჯახის ფასეულობების დაცვის დღე, რომელსაც არანაკლებად დიდი გამოხმაურება ჰქონდა შარშანაც, მაგრამ წელს მაინც გამორჩეული იყო. მსვლელობამ მოიცვა სრულიად საქართველო, ფაქტობრივად, ყველა რეგიონული ცენტრი და ქალაქი... ეს ძალიან შთამბეჭდავი მსვლელობა მილიონიანი მარშის სახელწოდებით შევა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

ეს დღე ძალიან ბევრი მიზეზის გამო არის ჩემთვის მნიშვნელოვანი. ვხედავთ, რომ თვეზე მეტია, მიმდინარეობს აქციები, რაც აშკარად რეგრესს განიცდის, მთავარი მოსაზრებიდან გამომდინარე - ისინი არ არიან გაერთიანებული სიმართლის გარშემო, ისინი სიცრუეზე აგებულ შინაარსობრივ ფასეულობებს იცავენ, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ამ სიტუაციაში მათ წიაღში არც გამოკვეთილი პიროვნული ლიდერი ჩანს და არც რეალური გეგმა - რა უნდათ, საით ისწრაფვიან და რა აქვთ ჩაფიქრებული. ამიტომ ვხედავთ, რომ მათი აქციები ნელ-ნელა რაოდენობრივად იკლებს და შინაარსს კარგავს. ეს იმ დროს, როდესაც საქართველოში ყოველგვარი წინასწარი ორგანიზების გარეშე, ყოველგვარი მოსყიდვისა თუ სხვა მატერიალური დაინტერესების გარეშე, ერთ დღეში შეიძლება შეიკრიბოს მილიონი ადამიანი, თუკი საქმე ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს ეხება. თუკი ჩვენს მამულს, ენას, სარწმუნოებას რეალური საფრთხე ემუქრება.

ბავშვობიდან მახსოვს 1978 წლის აპრილის მოვლენები. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ეს იყო, ფაქტობრივად, მეორე მასშტაბური გამოსვლა სოციალისტურ საქართველოში. პირველ საპროტესტო გამოსვლებს 1956 წლის 9 მარტს, სამწუხაროდ, უამრავი ადამიანი ემსხვერპლა. თუმცა, ამ „სამაგალითო“ დასჯის შემდეგაც, ქართველი არ შეუშინდა რეპრესიებს და მასობრივად გავიდა ქუჩაში მშობლიური ენის დასაცავად.

ახლა კი, ჩვენთან ჩამოდის გადამთიელი ადამიანი, რომლის პირადი ცხოვრება არც ერთ ჩვენგანს არ გვაინტერესებს და გვეუბნება, რომ ჩამოვიდა ქართველ ლესბოსელთა კვირეულთან დაკავშირებით. ჩვენს სახლში ცხოვრების წესს გვიწუნებენ და გვეუბნებიან, რომ მათი გადმოსახედიდან მართლმადიდებლობა არის მუხრუჭი, რომელიც უშლის ხელს, თურმე, ქართველ ახალგაზრდობას განვითარებაში... და ამას გვეუბნება გათხოვილი მამაკაცი! ესეც იყო ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი იმისა, რის გამოც მილიონი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, რათა მსოფლიოს დაენახა, რეალურად რა ფასეულობების ირგვლივ არის გაერთიანებული ჩვენი სახელმწიფო.

- საინტერესოა, მაინც რა არის ამ გამალებული პროპაგანდის მიზანი? რატომ ცდილობენ, თავს მოგვახვიონ არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანების ცხოვრების წესი?

- საუბარია იმ მეტასტაზებზე, რომელიც დასავლეთის ცივილიზაციას თავს მოახვია ტრანსკორპორატიულმა მავნებლურმა ორგანიზაციამ, „გლობალური ომის პარტიამ“, როგორც მას „ხალხის ძალამ“ შეარქვა. ეს არის, პირველ რიგში, აშშ და ევროკავშირი. თუმცა, ამ ქვეყნებში და ამ ორგანიზაციაშიც ვხედავთ, როგორ მძლავრობს წინააღმდეგობა თავსმოხვეული გაუკუღმართებული ცხოვრების წესის წინააღმდეგ. აშშ-ისა და ევროპის ჯანსაღი ნაწილი ეწინააღმდეგება პოლიტიკას, რომელიც ცდილობს, ღმერთი ჰუმანიზმით ჩაანაცვლოს, კაცობრიობის შექმნის ბიბლიურ ისტორიას რევიზია ჩაუტაროს და ახალი ფსევდოფასეულობები შემოგვაჩეჩოს. ამის წინააღმდეგია რომის პაპი, ამის წინააღმდეგ მოქმედებს ევროპაში მომძლავრებული კონსერვატიული მიმდინარეობებიც, რომლებიც ნელ-ნელა იმარჯვებენ არჩევნებში და საკუთარ ქვეყნებში ფსევდო ლიბერალურ ხელისუფლებებს ანაცვლებენ. ამ მავნებლური ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მსხვერპლი, ჩვენს სამეზობლოში უკრაინის ხელისუფლება აღმოჩნდა, რომელმაც ქვეყანა დამანგრეველ შედეგებამდე მიიყვანა.

გამარჯვების კარგი პერსპექტივა აქვს აშშ-ს, რასაც 5 ნოემბერს დავინახავთ, როდესაც ფსევდოლიბერალური ფაშიზმის შუქურას - ბაიდენის ადმინისტრაციას კონსერვატიულ ფასეულობებზე დაფუძნებული დონალდ ტრამპის შეხედულებები შეცვლის. ეს აუცილებლად იქონიებს ზეგავლენას აშშ-ზეც, ევროკავშირზეც და იმ ქვეყნებზეც, სადაც გლობალური ომის პარტიის გავლენა შეინიშნება.

- როგორც მორწმუნე, ეკლესიური ადამიანისთვის, თქვენთვის, ალბათ, მძიმეა ხედავდეთ, როგორც ცდილობენ, რომ ეკლესია პოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდეს. რა არის ამ სტიგმატიზაციის მცდელობის მიზანი?

- 2000 წელია, რაც საქართველო, სახელმწიფო დონეზე, ქრისტეს გზას შეუდგა. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ურჯულო თუ ერთმორწმუნე იმპერიალისტური ძალების მხრიდან, მიმდინარეობდა ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ და ამ ბრძოლებში ჩვენი ეკლესია მხოლოდ ძლიერდებოდა. იმ ძალების უმეტესობა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გვებრძოდა, როგორც იმპერია, საერთოდ გაქრა დედამიწიდან, საქართველო კი დარჩა. ამიტომ ნორმალურად ვუყურებ ამ პროცესს. არც არის გასაკვირი, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, რომელიც ამ სტატუსით ერთადერთი და განუმეორებელია პლანეტაზე, დღესაც ლუციფერის, სატანის და მისი მოციქულების შემოტევების ობიექტია. როდესაც საქართველოს ეკლესია, მამული, ენა და სარწმუნოება გარეშე ძალების ზემოქმედების ქვეშ ექცეოდა, ან რომელიმე ქვეყნის ვასალი აღმოვჩნდებოდით, ამ ყველაფრის გადასალახად უფალი გვაძლევდა განსაცდელს. ოღონდ იმიტომ კი არა, რომ უფალს ქართველი, ან თავისი დედის წილხვდომილი ქვეყანა არ უყვარს - უფალს სურს, რომ რწმენაში დაცემული, ან მცირემორწმუნეობაში გადასული ადამიანი რწმენაში გაძლიერდეს.

როდესაც სიტუაცია მცირემორწმუნეობის პიკამდე მივიყვანეთ, სააკაშვილის რეჟიმის სახით უფალმა ჩვენზე განსაცდელი დაუშვა, რომელიც უნდა გაგვევლო იმისათვის, რომ კეთილი და ბოროტი, თეთრი და შავი, ღმერთი და სატანა ერთმანეთისთვის შეგვედარებინა, სწორი მხარე დაგვეჭირა და რწმენა გაგვეძლიერებინა.

ოჯახის სიწმინდის დღემ დაგვანახა, რომ ტაძრებთან გამოსული ადამიანების რიგებში იყვნენ ეკლესიურად მაცხოვრებლებიც და ნაკლებად ეკლესიური ადამიანებიც, თუმცა, თითოეული მათგანი იყო გენეტიკურად ქართველი. ამ დღეს ჩვენ დავინახეთ, რომ რწმენა ჩვენი ეკლესიის მიმართ გაზრდილია. ამიტომ, როდესაც უფალი ხედავს, რომ ერი უმკლავდება განსაცდელს, რომელიც მის გასაძლიერებლად იქნა დაშვებული, ის უკვე წყვეტს ამ განსაცდელს და უფლისა და ადამიანების ისეთ სინთეზს, ისეთ სინერგიას ქმნის, რომ ვერც ერთი ძალა, რაოდენ რიცხვობრივად დიდიც უნდა იყოს ის, ქვეყანას ვერ დაამარცხებს.

ყოველდღე გვესმის ევროკონგრესმენების გარკვეული კატეგორიის მუქარა, მაგრამ ეს, უბრალოდ, სასაცილოა. ვის ემუქრებიან? - ემუქრებიან უფალს, ემუქრებიან ღვთისშობელს და ემუქრებიან რწმენით გაძლიერებულ ქართველ ერს! ჩვენ რომ ვყოფილიყავით 20 წლის წინანდელ საფეხურზე სარწმუნოებრივად, რა თქმა უნდა, წინაღობის გადალახვის პერიოდი კიდევ გაგვიგრძელდებოდა, მაგრამ ჩვენ ჩვენი წილი გამოსწორების გზა უკვე გავიარეთ და დღეს სწორი მიმართულებით მივდივართ. უდაბნოში ხეტიალის 40-წლიანი პერიოდი რომ მივუსადაგოთ საქართველოს, ჩათვალეთ, რომ გვრჩება რამდენიმე წელიწადი და ჩვენ აუცილებლად გადავლახავთ ჩვენს იორდანეს. საქართველო გაბრწყინდება და გამთლიანდება.

- ევროსაბჭოს ასამბლეაში გამართულ მონიტორინგის კომიტეტზე კრიტიკულად შეაფასეს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით. ნამდვილად არ არის სასურველი მათი მხრიდან ასეთი ნეგატიური განწყობა...

- დაველოდოთ, ერთი თვე რჩება ევროპარლამენტის ახალი შემადგენლობის ჩამოყალიბებამდე. ჩვენი წინასწარი ინფორმაციით, შეიძლება გადამწყვეტი გარდატეხა მოხდეს ლიბერალურ ფრთაში, საგულისხმოა მათი საგრძნობი დასუსტება და კონსერვატიული ძალებით ჩანაცვლება. „ქართულმა ოცნებამ“ შარშან ევროპარლამენტის ლიბერალურ ფრთასთან ყოველგვარი თანამშრომლობა შეწყვიტა, რადგან ისინი მართლაც ჩვენს „დაუძინელებ მეგობრებად“ ჩამოყალიბდნენ, რომელთაგანაც მავნებლობის გარდა, არაფერი გვინახავს. იმედია, ახლა უკვე ევროპარლამენტის ახალი შემადგენლობა გაიმარჯვებს თავისი ჯანსაღი და კონსერვატიული ძალებით და ამ ძალებთან აუცილებლად შედგება ჩვენი ხელისუფლების თანამშრომლობა. ჩვენ აუცილებლად გავაძლიერებთ ერთმანეთს იმ ფორმულიდან გამომდინარე, რაც უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ბრძანა საქართველოზე, რომ დღეს საქართველო უფრო სჭირდება ევროკავშირს, ვიდრე პირიქით.

საქართველო თავისი ფასეულობების მიმართ დამოკიდებულებით, თავისი სიმტკიცით, რომელსაც ამ კანონის მიღების პროცესში მსოფლიოს დაანახა, ძალიან ბევრ ქვეყანას მისცემს მაგალითს. ასეთი სიმტკიცის მაგალითი დღეს სჭირდება პოლონეთს, იტალიას, ესპანეთს და ევროპის ბევრ სხვა ქვეყანას, სადაც ხალხის მოთხოვნაა, იდენტობა, ტრადიციულობა, სარწმუნოება შეინარჩუნოს. ეს ყველაფერი თითქმის 25 წლის განმავლობაში დააკნინა გლობალური ომის პარტიამ, რათა იდენტობის მოსპობით ევროკავშირის სივრცეში შეექმნათ ბიომასა - ევროპელი ადამიანი, რომელიც საკუთარ თავში გააერთიანებდა, პირობითად, პორტუგალიელს და ესტონელს, ანუ დიამეტრულად განსხვავებული კულტურისა და ისტორიული ტრადიციების მქონე ერებს.

ეს ყველაფერი არის აბსოლუტური კალკი იმისა, თუ როგორი საბჭოთა ადამიანი შექმნეს საბჭოთა კავშირში, რომელიც აერთიანებდა ქართველს, სომეხს, რუსს, უკრაინელს... დღეს ევროკავშირი ჩვენ თვალწინ ევრო-საბჭოთა კავშირად ტრანსფორმირდება და ამის წინააღმდეგ უკვე ბევრი ევროპელი ლიდერი გამოდის. რაც მთავარია, თვითონ ევროპულ საზოგადოებას არ უნდა უნიფიცირება და ევრო-საბჭოთა კავშირში ცხოვრება. ამიტომაც არსად გვეჩქარება. ამიტომაც არის ჩვენი ფორმულა ღირსეულ ევროკავშირში ღირსეულად შესვლა. დავეხმაროთ ამაში ევროკავშირს, მივცეთ მაგალითი, დაველოდოთ მოვლენებს და ევროპარლამენტის დღევანდელი შემადგენლობის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას მაინცდამაინც ნუ მივიღებთ საგულისხმოდ. ძალიან მალე დავინახავთ, რომ უფრო მეტი მეგობარი გვყავს ევროკავშირის სტრუქტურებში, ვიდრე მტერი.

ნონა ქარქაშაძე

ოჯახის სიწმინდის დღემ დამარწმუნა, რომ არ გადავშენდებით

გვესაუბრება სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ბაია ამაშუკელი:

— ქალბატონო ბაია, 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის დღის აღსანიშნავად უამრავი ადამიანი შეიკრიბა. რა დაგანახათ ამ დღემ?

— 17-მა მაისმა გამიმყარა რწმენა, რომ ჩვენ არ გადავშენდებით. განსაცდელის ჟამს, რწმენის, ეროვნული იდეის დასაცავად, ქართველი ერი ერთ ძარღვად, ერთ მუშტად იკვრება. 17 მაისი უამრავმა ადამიანმა იზეიმა. სამასი ათასი მოწამის ხსენების დღესაც მივლია ფეხით, მაგრამ ასეთი ერთსულოვნება, რაც ოჯახის სიწმინდის დღეს იყო, არასდროს მინახავს.

— ზურაბიშვილმა გამჭვირვალობის კანონს ვეტო დაადო. რა მოლოდინი გაქვთ?

— შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზურაბიშვილს ქართველების მიმართ ბოღმა აქვს, გაბოროტებულია. თავად ემიგრანტი იყო და თითქოს ამის გამო სამაგიეროს ჩვენ გვიხდის. ზოგადად, ბოლო წლებია, პრეზიდენტის ინსტიტუტი არ ამართლებს, მისი წინამორბედიც სულ ვეტოზე იყო ორიენტირებული. ქალბატონი სალომე არ გახლავთ კარგი ქალი. მან წლების წინათ განაცხადა: ბჟეზინსკის საყვარელი მოწაფე ვიყავი, კოლუმბიის უნივერსიტეტში რომ ვსწავლობდიო. აქ უკვე ცხადი იყო, თუ ვის დავალებებს შეასრულებდა. გამჭვირვალობის კანონს რაც შეეხება, ოპოზიციური არხები ავრცელებენ დეზინფორმაციას, თითქოს, კანონში გარკვეული მუხლები ჩაემატა. პრემიერმაც და პარლამენტის თავმჯდომარემაც აღნიშნეს, რომ ეს სიცრუეა. ამას საზოგადოების დასაბნევად და ახალგაზრდების ასაყვირებლად აკეთებენ, რათა ქვეყანაში ქაოსი გამოიწვიონ. დეზინფორმაციის გავრცელება, წესით, დასჯადი უნდა იყოს. დიახ, საზოგადოებაში არეულობის, ქაოსის შემოტანა კანონით უნდა ისჯებოდეს. გაიძახიან, პოლიცია ახალგაზრდებზე ძალადობსო. ძალადობა არ არის, ადამიანი ექიმთან რომ მიდის და გზას უკეტავ?! ქუჩების პარალიზება ძალადობა არ არის?!

— დასავლეთი კანონის არგაწვევის შემთხვევაში, ვიზალიბერალიზაციის გაუქმებით გვემუქრება.

— ვიზალიბერალიზაციის გაუქმება ისევ და ისევ დასავლეთს შეუქმნის დისკომფორტს, რადგან საქართველოდან ევროპაში იაფი მუშახელის გადინება ხდება. ჩვენმა პროდუქტმა, არ მგონია, მათ ბაზარზე ფეხი მყარად მოიკიდოს. აგერ, ბალტიისპირელებს საქონელი ამოახოცინეს იმ მოტივით, რომ ჰოლანდიური საქონელი საკმარისზე ბევრია და მსოფლიო ბაზარზე თქვენი საქონელი არ გვჭირდებაო. იქ ვერც ჩვენი ყველი მოიკიდებს ფეხს და ვერც ღვინო. კი ბატონო, ხალხი უვიზოდ გადაადგილდება. სულ ეს არის.

— ქუჩები საყოველთაო პროტესტმა მოიცვა. ახალგაზრდებს ექიმებიც შეუერთდნენ...

— მაგ ექიმებზე ჩემი მოსაზრება მაქვს. ხომ გახსოვთ, ადრე თავიანთ ზონდერებს პოლიციელების ფორმა რომ გადააცვეს. ასე გადააცმევენ სტუდენტებს თეთრ ხალათებს, ვითომ ექიმები არიან და გაამწკრივებენ პროტესტის წინა ხაზზე.

90-იან წლებში აქ ჩამოსულ ხაჩისონს გიგი თევზაძე შეხვდა. მან გვითხრა, ქართველებს ქირურგიული ოპერაციების, იურისპრუდენციისა და ეკონომიკის წარმოების უნარი არ გაქვთ, ამ დარგების სპეციალისტებით ჩვენ მოგამარაგებთო. ანუ, აპრიორში ჩადებული იყო, რომ არ უნდა გვყოლოდა ექიმი — ან ჩამოგვიყვანდნენ ან თავად უნდა წასულიყო მსურველი სამკურნალოდ. ყველაფერი სახეზეა: იურისპრუდენციაშიც ერევიან გარედან, ეკონომიკაშიც, ხომ გვასწავლეს, ვაზი გაჩეხეთო... ასე რომ, ეს პროცესი დღეს არ დაწყებულა.

გაუგებარია, რატომ უწოდებენ კანონს რუსულს. ხელისუფლებაში რომ ვიყო, სიტყვა-სიტყვით გადმოვწერდი „ფარას“ კანონს, რომ მოსადავებელი აღარ დამეტოვებინა. მიმაჩნია, რომ, სახელმწიფომ დღეს რომ სჭირდება, ისეთი კანონი უნდა შექმნას და მისი რეგულაცია მოახდინოს. იურისტები საკმარისად გვყავს. ამის ბაზა და პოტენციალი ისტორიულად გაგვაჩნია ხეთების სამართალისა თუ სხვა სახით.

სტუდენტები ვერ ასაბუთებენ, რა საერთო აქვს ამ კანონს რუსულ კანონთან. გაიძახიან, ემიგრანტების გადმოგზავნილი ფულის გაკონტროლება ხდებაო, არადა, კანონში მსგავსი არაფერი წერია. დასანანია, აქციებზე მდგომი ახალგაზრდობა ასე რომ აზროვნებს. ამიტომ ვფიქრობ, ბოლონიის პროცესს დროულად უნდა ჩამოვშორდეთ, რათა მომავალი თაობის ნაწილი მაინც გადავარჩინოთ. თავად მაქვს სტუდენტებთან შეხება და ცოდნის თვალსაზრისით, ყოველ წელს კატასტროფული მდგომარეობაა, უმეტესობას შინაარსის გააზრება უჭირს. შარშან გაიფიცნენ, რადგან გამოცდების ჩაბარება არ უნდოდათ. სწავლა არ უნდათ. მერე ხელისუფლებამ გადასახადები გაუნულა. მაშინ არ იყო ხელისუფლება პრორუსული?! ახალგაზრდებთან დაპირისპირებას ხელისუფლება ყოველთვის ერიდება. ამიტომ ოპოზიციას, ენჯეოებს ისინი ფარად ჰყავთ აფარებული. ნელ-ნელა იკვეთება რომ ყველა პროცესის უკან ისევ კოლექტიური ნაცმოძრაობა დგას. ექიმების პროტესტს მშობლების პროტესტიც დაემატა. ეს მართული პროცესია. მე თუ მკითხავთ, მშობლების მხრიდან ბავშვების უფლებების დარღვევაა ხუთი წლის ბავშვს რომ აყვირებ, არა რუსულ კანონსო. უცხოეთიდან აქციების დაფინანსება რევოლუციების მოწყობის პრაქტიკაა. იქნება მცდელობა, რომ არჩევნების გაყალბების საბაბით, არეულობა, დესტაბილიზაცია მოაწყონ.

დაზუსტებული ინფორმაციით, ამ ბავშვებს ნარკოტიკულ საშუალებებს — ამფიტამინებს აძლევენ, რათა არ დაიღალონ. ეს საშინელებაა. ეს ახალგაზრდები არ აპროტესტებენ არც განათლების ხარისხს, არც ნარკოპოლიტიკას, არც სოციალურ პრობლემებს. რას აპროტესტებენ? — იმას, რაც არ წაუკითხავთ, არ იციან და რომც წაიკითხონ, მაინც ვერაფერს გაიგებენ. ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა, ეს არ არის სტუდენტური პროტესტის თემა. თორემ მეც ვიყავი სტუდენტი, 14 აპრილს ჩემს მეგობრებთან ერთად ენას ვიცავდი, მაგრამ არაფერი დაგვილეწია. განა შეიძლება, შენს ქვეყანას ისე მოექცე, როგორც ეს ახალგაზრდები — გამხეცებულმა ყველაფერი დაამტვრიოო?! ეს ქმედებები კანონით უნდა აღიკვეთოს. შეხედონ, უცხოეთში როგორ ხდება აქციე-

ბის დაშლა, ბლოკირება. აქაც ასე უნდა მოიქცნენ. როცა კანონი არ მოქმედებს, მერე დაუსჯელობის სინდრომი ჩნდება.

— როდემდე შეიძლება ეს უწყვეტი პროტესტი გაგრძელდეს?

— ისეთი განცდა მაქვს, რომ ხელისუფლებამ მოვლენები გაზაფხულზე გადმოიტანა, რათა ოპონენტებს რესურსი ბოლომდე დაახარჯვინოს. თუ ოპოზიციამ შედეგს ვერ მიაღწია, მერე თავად ახალგაზრდებსაც მობეზრდებათ იქ დგომა და დაიშლებიან. დესტრუქციული ელიტა, რომელიც მათ უკან დგას, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს და საზარბაზნე ხორცად წინა ხაზზე ახალგაზრდებს უშვებს. ხელისუფლებამ ქვეყნის გარედან აქციებისთვის გამოყოფილი თანხის შემოსვლა უნდა აკონტროლოს.

— თავად ოპოზიცია საყოველთაო გაფიცვისთვის ემზადება. არჩევნებამდე ლოდინს არც სააკაშვილი აპირებს და მებრძოლებს პირდაპირ მაიდნის განხორციელებისკენ მოუწოდებს.

— სააკაშვილი ცალკე, უნიკალური შემთხვევაა: ხან კვდებოდა, ხან 36 დაავადება სჭირდა, თან, მათ შორის, უკურნებელი დემენცია და კახექსია, მაგრამ განიკურნა. ეს ტყუილები რატომღაც ყველას დაავიწყდა, მათ შორის, უცხოელებსაც. ახლა სააკაშვილი ჯანმრთელადაა და რევოლუციას უდგას სათავეში. ეს ყველაფერი გაიშიფრა. სამწუხაროდ, საზოგადოებაში აზროვნების უნარის დიდი დეფიციტია. ღმერთმა ნუ ქნას სამოქალაქო დაპირისპირება, რასაც მავანი ამ აქციებით ხელს უწყობს. პუტინს მიღებული აქვს კანონი, რომლის მიხედვითაც ეს-ენ-გეს სივრცეში თუ სადმე ფერადი რევოლუცია მოხდება, რუსის ჯარი იქ შევა. წარმოგიდგენიათ, რა მოხდება. ამაზე არავინ ფიქრობს. ვთქვათ, ეს ბავშვები ვერ აზროვნებენ სახელმწიფოებრივად, არც ის უფროსი არ უნდა დაფიქრდეს, ვინც მათ ზურგს უკან დგას?! ასე რომ, საქართველოში არეულობა შეიძლება რუსეთსაც აწყობდეს და დასავლეთსაც, რათა რუსებს გარკვეული ეკონომიკური მიზნები აურიოს. მიზანი ისიცაა, რომ სომხეთსა და საქართველოში როგორმე ცეცხლის კერა დაინთოს. ეს აქციები ამ ყველაფერს ხელს უწყობს. ახალგაზრდები ამაზე არ ფიქრობენ, არადა, პატარები ნამდვილად აღარ არიან. მათ რომ ჰკითხო, ხელისუფლებაში აპირებენ მოსვლას! კარგი დღე კი დაგვიდგება. ისინი სხვადასხვა ფორმით გამოხატავენ აგრესიას. შარშან მათ „პედაგოგები“ მოლოტოვის კოქტეილების სროლას ასწავლიდნენ. სწორედ ამის ასალაგმად არის გამჭვირვალობის კანონის მიღება საჭირო. კი ბატონო, რიგი ენჯეოები კარგ საქმესაც აკეთებენ, მაგრამ გვაჩვენონ, იმ 20%-ის ზევით მიღებულ თანხას რაში ხარჯავენ.

— ოპოზიცია ერთიან სიაზე ჩამოყალიბებას გეგმავს. როგორ უყურებთ ამ შესაძლო გაერთიანებას?

— ერთიან სიაზე მათი შეჯერება წარმოუდგენელია, ალბათ, ერთმანეთს დახოცავენ. თავიდან „ნაცმოძრაობასთან“ ერთიანი სიით შევიდნენ სანიკიძე, „რესპუბლიკელები“ და მერე ადგილები ველარ გაიყვეს. ახლაც ასე იქნება. ეს ქართველის ბუნებაა. ღმერთმა დაგვიფაროს ხელისუფლებაში მათი დაბრუნებისგან. ყველას კარგად გვახსოვს ცხრაწლიანი სისხლიანი რეჟიმი. Aი, ამ ახალგაზრდებმა კი მათი „გმირობების“ შესახებ არ იციან. ამიტომ რუსთაველის გამზირზე, სადაც აქციებს აწყობენ, დიდი მონიტორები უნდა დააყენონ და ყოველდღე აყურებინონ, რას სჩადიოდნენ მათ ზურგს უკან მდგომები.

თამარ შველიძე

შალვა დადიანი –150



წლეულს 150 წელიწადი გავიდა საქართველოს სახალხო არტისტის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოფილი თავმჯდომარის, თეატრალურ მოღვაწის, მსახიობის, მწერლის, სცენარისტის, უმდიდრესი შემოქმედებითი მონაგარის მქონე მოღვაწის, მთაწმინდის პანთეონის „ბინადარის“, შალვა დადიანის დაბადებიდან.

მე-19 და მე-20 საუკუნეების მწერლობა და თეატრი იყო ეროვნული ცნობიერების შენახვისა და გამოვლინების, გაცოცხლებისა და აზროვნების უმთავრესი საშუალებანი. სწორედ ხელოვნებისა და ერის ცხოვრების ამ ორ უმნიშვნელოვანეს დარგში მიუძღვის შალვა დადიანს დიდი დამსახურება.

აი, რას ამბობს თავად ერთ-ერთ რადიო გამოსვლაში: „ჩემს ცხოვრებაში, მეგობრებო, რაიმე უცნაური თუ ხდება, თუ რაიმეს წარმოვადგენ, ჩემი წარსულის დამსახურებაა... აუცილებლად სასარგებლო უნდა ვყოფილიყავი. ჩემი ოჯახს ჰქონდა უფლება წინა რიგებში დგომისა. მისი ხარისხი, თავადობისა და დადიანობისა, თავის დროზე იყო გამორჩეული, ამიტომ გასაკვირი ის კი არ არის, რაც ვარ, არამედ უკეთესი რომ არ ვარ...“

მართლაც, შალვა დადიანის მამა, დიდი ნიკო დადიანი გახლდათ გამორჩეული საზოგადო მოღვაწე. სამოციანელთა თანამედროვე და ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე. არჩეული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრად. აქტიურად იბრძოდა ქართული ენის დასაცავად, რუსული აგრესიის წინააღმდეგ. იყო ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე. სამეგრელოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით დაწყებითი სკოლის გახსნის მოთავე და მონაწილე; ათობით ლექსის ავტორი, ქველმოქმედი და მონარქიის წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი.

შალვა დადიანმა სახლში მიიღო პირველადი განათლება მამის ხელმძღვანელობით. ადრეული ჭაბუკობიდან გაიტაცა პროგრესულმა იდეებმა. იყო გამგრძელებელი, როგორც ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის, ასევე ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას და ლადო მესხიშვილის მოღვაწეობისა.

აი, რას წერს კონსტანტინე გამსახურდია შალვა დადიანზე: „შალვა დადიანის შეურყეველ ბუნებას ახლოსაც არ გაჰკარებია ზოგიერთი ხელოვანისათვის დამახასიათებელი ეგოცენტრიზმი, საკუთარი სახელის განდიდებისათვის გააფთრებული ბრძოლის ჟინი, რომელსაც თან მიჰყვება ხოლმე თანამოკალმეთა ზურგს უკან გაქირდვა და ლიტერატურული ოინბაზობა.

ინგლისურ „ჯენტლმენზე“ უფრო ხელმარჯვე სიტყვა გვაქვს ქართულად „დარბაისელი“.

ჩვენს ხელოვნებაში მოჭირნახულე ახალი თაობები ბევრ რამეს ისწავლიან შალვა დადიანის მწერლური და არტისტული შემოქმედების სფეროდან, მისი დარბაისლობა და კაიკაცობა მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს მათთვის.

ისევე, როგორც დიდ ილიას, შალვა დადიანსაც ბევრი დრო და ენერგია წაართვა თეატრმა და საზოგადო მოღვაწეობამ, მიუხედავად ამისა, მან შეძლო, მოეხვეჭა ქართული პროზის ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატის სახელი....

....შალვა დადიანი თვით ძველ დროში განირჩეოდა თავისი ჰუმანიზმით, პროგრესულობით, ახალ ეპოქაში იგი დაუღალავად ემსახურებოდა ხალხთა შეძმობის დიდ იდეას, ამიტომაც უჩვეულო პატივისცემა დაიმსახურა მან მთელი საბჭოეთის ერების გულში.“

ადრეული სიჭაბუკის წლებში გაიტაცა იგი ეპოქის პროგრესულმა სოციალურმა და პატრიოტულმა იდეებმა. ამ იდეებით არის გამსჭვალული მისი ლექსების პირველი კრებული „ნაპერწკალი“ (1892) და პროზაული მინიატურები. 1893 წლიდან მან მსახიობობა დაიწყო და შემდგომში ვ. ალექსი-მესხიშვილის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელი გახდა ქუთაისის თეატრში. 1908 წელს ჩამოაყალიბა „მოძრავი დასი“, რომელიც რევოლუციური შინაარსის სპექტაკლებს დგამდა. 1917 წელს დაასრულა პიესა „გუშინდელნი“, რომელშიც ბაქოს ქართული დასის მსახიობებმა ითამაშეს.

შ. დადიანი არსებითად ქართულ დრამატურგიაში კომედიური ჟანრის ფუძემდებელია. მის კომედიაში „კაკალ გულში“ (1928) მხილებულია შემორჩენილი ბიუროკრატიზმის, მლიქვნელობისა და თვალთმაქცობის გადმონაშთები. დრამატურგიაში ტრაგედიის ჟანრის აღორძინების ერთ-ერთი პირველი ცდა იყო დადიანის პიესა „თეთნულდი“ (1931), რომელშიც ავტორმა ძველისა და ახლის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ახალი სამყაროს გარდაუვალი გამარჯვება დაგვიხატა.

შალვა დადიანი ავტორია ისტორიული რომანისა „გიორგი რუსი“ (1916-1926), რომელშიც ასახულია XII-XIII საუკუნეების საქართველო. მას დაწერილი აქვს მრავალი მოთხრობა, ნოველა, პუბლიცისტური წერილები; თარგმნა შექსპირის, შილერის, ბაირონის, ჰაუპტმანის, ლ. ანდრეევისა და სხვათა პიესები; აღსანიშნავია მისი რეჟისორული მოღვაწეობა; მის პიესებს დღემდე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული თეატრის რეპერტუარში; 1937 წელს დაწერა - ისტორიულ-რევოლიციურ დრამა „ნაპერწკლიდან“; ავტორია რომანისა „გვირგვილიანების ოჯახი“ (1954) და მოგონებათა წიგნისა „რაც გამახსენდა“ (1959);

წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მსახიობთა კავშირს.

შალვა დადიანის 80 წლის იუბილე დიდი ზეიმით აღინიშნა მის მშობლიურ სენაკში. მწერლებმა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა მოინახულეს თავისი დროის გამორჩეული საზოგადო მოღვაწის, შალვას მამის, დიდი ნიკოს საფლავი სოფ. ბერთემში და პატივი მიაგეს მას.

ერთ- ერთმა პოეტმა ასე შეამკო ეს ეპიზოდი:

„მხოლოდ შალვა დადიანს ,
შვენის ეტლით იაროს,
ბერთემიდან მოვდივართ,
ვტოვებთ სადადიანოს“.

ქვეყნისათვის თავდადებისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მას შთამომავლობამ სასუფეველი მთაწმინდის პანთეონში მიუჩინა.

ღირსეული ქართველი მოღვაწის სახელს ატარებს ქუჩები თბილისში, ზუგდიდში, სენაკში, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის თეატრი.

ბორის დავითაია
სენაკის საპატიო მოქალაქე
აკ. წერეთლისა და
ალ. ყაზბეგის პრემიების
ლაურეატი

ნუკა არველაძე: უკვე გადამეტებული მგონია ახსნა-განმარტება ამ კანონის გარშემო!!!

გამგებმა გაიგო და ვისაც არ უნდა გაგება, სულ რომ ოქროს ზოდები დავუწყოთ, ცალ ფეხზე ჰკიდია ყველაფერი!

ვეტოს დაძლევამდე იფაფხურებენ, კანონის ძალაში შესვლამდე ფულს შემოიტანენ და დააბინავებენ და არჩევნებზე უფრო დიდი შემოტევებისათვის მოემზადებიან!

დიახ, ახლა ეს პროცესებია დაწყებული და ალაგ-ალაგ არც რყევებს მოგვაკლებენ და არც შეურაცხყოფა-ბულინგს.

და ჩვენ რას ვაკეთებთ?

რა გეგმა აქვს მმართველ ძალას - „ქართული ოცნებას“?

რა ხდება საბოტირების ავანგარდში მყოფ მუქთახორებზე, რომლებიც კარგ თანამდებობებზე და კარგ პონტში არიან აქაც და იქაც?!

როდემდე უნდა იყვნენ ფრთაგაშლილი და კარგად უზრუნველყოფილები ჩვენს ხარჯზე?!

განსაკუთრებული აღტკინება გამოავლინა და თავის გადადო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ხარისხის ცენტრმა, გაურკვეველი წარმომავლობის პროფესორ-მასწავლებლებმა!

დანარჩენზე არაფერს ვამბობ!

17 მაისს შეკრებილმა მილიონზე მეტმა ადამიანმა შეცდომაში არავინ შეიყვანოს.

ის, რომ ეს ამბავი არცერთმა რადიკალურმა ძალამ არ შეამჩნია და, ფაქტობრივად, ელოდებოდნენ, როდის გაივლიდა ეს დღე, არაფერმა დაგაიმედოთ!

ბოლო ერთი თვეა, ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს მთავრობას და ქართველ ხალხს ებრძვიან გლობალური ომის არქიტექტორები. აქციაზე დაკავებული სამი ამერიკელი, სავარაუდოდ, აშშ-ის დაზვერვის აგენტები, ძლვენად გაიყოლა ო'ბრაიანმა.

რუსეთიდან და უკრაინიდან გამოქცეული ნეიფაშისტებიც კარგად აქტიურობდნენ - მოხდა თუ არა მათი დეპორტირება ქვეყნიდან?

და დღეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ირაკლი კობახიძეს ისევ დახვდნენ პრიმატები, და როცა მათ გეგმის შესრულების შესაძლებლობა არ მისცა ახალგაზრდობამ, ძალიან გაგვიბრაზდნენ!

თურმე, მერე რა!

●

უკვე დაიწყეს მედიატერორისტებად ქცეული და კალიასავით ყველგან მოხტუნავე ჟურნალისტების გაპრავება;

უკვე თამამად აცხადებენ აპოლიტიკურ სამსახურებში, რომ უკმაყოფილების არიან ხელისუფლებით მმართველი გუნდით;

უკვე დაიწყეს ზარი ახლობელთან;

უკვე დაიწყეს ღამის ტუსოვკების შეთანხმებები;

მოკლედ, მალე გადავა ეს რყევა მილევად რეჟიმში, ახალი შეტევის მოსამზადებლად!

●

ის, რომ საინფორმაციო ველი მათ ხელშია, ნათლად გამოჩნდა;

ფაქტობრივად, მმართველ ძალაზე არცერთი მედიასაშუალება არ მუშაობს ისე, როგორც ეს საჭიროა! გადახედეთ რესპონდენტებს, თემებს, ფილმებს, გადაცემებს, რიტორიკას. გადახედეთ და თავად მიხვდებით.

თუმცა, ჩვენ აქ ამაზე არაერთხელ გვისაუბრია!

●

მოკლედ, აი, ეს ფრაზა, რაც არაერთხელ მომისმენია: ჩვენიანია მაინც და პრობლემა არაა - მთავარი იმათი გადმობირებაა.

ვნახეთ უკვე თქვენი გადმობირებულები, თქვენგან კარგად მაძღარი მუქთახორები, რომლებიც ყველა კრიტიკულ მომენტში ზურგს გაქცევენ აშკარად, ან უბრალოდ, იმალებიან, ან ირიბად თქვენს წინააღმდეგ მუშაობენ!!!

●

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვინ არიან ნაცები და მათი ანასხლეტებიც;

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რა შეუძლიათ;

და ისიც კარგად ვიცით, რომ უდიდესი უმრავლესობა სწორედ „ოცნების“ პირობებში გახდნენ უზრუნველყოფილები, მილიონერები...

მოკლედ, წინ იმაზე უარესი მზადდება ვიდრე ახლა ვნახეთ და ამას რომ მიხვდე, დიდი ჭკუა არ ჭირდება.

საკმარისია. მათი საუბარი მოისმინო და წაიკითხო მათი საერთაშორისო მფარველობის განცხადებები!

●

12 წლის განმავლობაში გაზარდეს და სათავისოდ დააჩლუნგეს თაობა!

12 წლის განმავლობაში იჯლიგინეს და აზიანეს ქვეყანა!

12 წლის განმავლობაში იმდენი კარტბლანში ჰქონდათ, რომ გამიკვირდებოდა, როგორ გადავრჩით, 17 მაისს ერთიანობა რომ არ მენახა!

●

მორჩით ამ კანონის ახსნა-განმარტებას!

და იმ ხალხს მიხედეთ, ვინც ზურგს გიმაგრებთ და ვინც ეს 12 წელი ითმენდა ყველანაირ შეურაცხყოფას კოლექტიური ნაცებისგანაც და ოცნებაში ჩანერგილებისგანაც!

12 + 9 - ცოტა ბევრი ხომ არ გამოდის, ამათი ჯლიგინისთვის, მეგობრებო?!

პოლიტიკური თანასწორობა – დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გზა

გაზეთის წინა (15.05.2024) ნომერში გამოითქვა აზრი, რომ საქართველოს გამთლიანების პროცესს სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილმა სტრუქტურამ უნდა უხელმძღვანელოს და მას „პოლიტიკური თანასწორობით - საქართველოს გამთლიანების ცენტრი“ უნდა დაერქვას. ხაზი გაესვა, რომ ეს ცენტრი ქველმოქმედების სურვილის მქონე, წარმატებულ ადამიანებთან ერთად უნდა დაფუძნდეს.

ამ ნომერში დაანონსებული იყო მსჯელობა ყველა იმ ნაბიჯზე, რომელიც უნდა გადადგას ცენტრმა საქართველოს გამთლიანებისკენ მიმავალ გზაზე. ქვემოთ სწორედ ამაზე გვექნება საუბარი, ოღონდ იმ წინაპირობით, ვითომ ცენტრი დაფუძნებულია და მზად არის, იმ ნაბიჯებს წარუძღვეს, რომელსაც ახლა ჩამოვთვლი.

პირველი ნაბიჯი. ცენტრს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი და სხვა საჭირო კადრი. ნათქვამია „ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავსო“. ამიტომ, ხელმძღვანელიც და სხვა საჭირო კადრებიც უნდა დანიშნონ მათ, ვისი წყალობითაც ცენტრი გამართულ მუშაობას შეძლებს. როგორც აღვნიშნე, საკუთარ თავს მრჩეველი-კონსულტანტის პოზიციაზე ვხედავ, ვინაიდან სხვა პოზიციიდან ვერ შევძლებ პასუხი ვაგო საქართველოს გამთლიანების იმ ვადაზე, რომელიც დავაანონსე.

მეორე ნაბიჯი. ცენტრმა უნდა იზრუნოს ხუთეულის ფორმატის შექმნაზე. კერძოდ, უნდა ჩართოს ამ ფორმატში თბილისი, სოხუმი, ცხინვალი, მოსკოვი და ვაშინგტონი. ბუნებრივია, ჯერ თბილისი უნდა ჩართოს, რაც ცენტრს არ გაუჭირდება, ვინაიდან, თუნდაც ჩემი პუბლიკაციებიდან გამომდინარე, ხელისუფლებას ეცოდინება, რატომ უნდა შეიქმნას ხუთეულის ფორმატი. თბილისის შემდეგ ცენტრმა სოხუმი და ცხინვალი უნდა ჩართოს ამ ფორმატში. შესაძლო კითხვაზე, რატომ ჩაერთვება ან სოხუმი ან ცხინვალი იმ ფორმატში, რომელიც მათ საქართველოში დააბრუნებს, ჩემი პასუხი ასეთია: თუ სოხუმის და ცხინვალის ხუთეულის ფორმატში ჩართვა პრობლემაა, ეს პრობლემა იმან უნდა მოაგვაროს, ვინც ამ ფორმატის შექმნას გთავაზობთ. ამიტომ, მე უნდა მოვაგვარო ეს პრობლემა და მოვაგვარებ დიალოგით სოხუმისა და ცხინვალის დეფაქტო ლიდერებთან. რატომ ვფიქრობ, რომ დავითანხმებ ამ დეფაქტო ლიდერებს ხუთეულის ფორმატში ჩართვაზე? აფხაზეთის ომიდან მოყოლებული, ავადმყოფურად მჯერა, რომ “მშვიდობას”, „საქართველოს სუბიექტების მეგობრობას“ და საქართველოს მეგობრობას სხვა სახელმწიფოებთან, საფუძვლად ერთი და იგივე ცნება უდევთ - „პოლიტიკური თანასწორობა“. ამის რომ არ მჯეროდეს, არც ეს პუბლიკაციები იქნებოდა და არც იმ წერილების შედგენაზე დავხარჯავდი დროს, რომლებიც უხვად ეგზავნებოდა საქართველოს ბოლო სამ ხელისუფლებას. შეგიძლიათ ავადმყოფად ჩამთვალოთ, ვინაიდან არ შეცდებით, მაგრამ თუ ახალი ცენტრი დაფუძნდება საჭირო ადამიანებთან ერთად, ესე იგი მათაც გადაედო ჩემი ავადმყოფობა. ახლა თავად განსაჯეთ, თუ ავადმყოფობა გადაედება დისტანციურად, ანუ გაზეთით, სოხუმისა და ცხინვალის დეფაქტო ლიდერებთან პირადი დიალოგით ხომ მათაც დავავაადებ და სწორედ ამის იმედი მაქვს.

სოხუმის და ცხინვალის ხუთეულის ფორმატში ჩართვის შემდეგ მოსკოვის და ვაშინგტონის რიგი მოვა.

გასაგები მიზეზის გამო, მოსკოვს ბოლოსათვის მოვიტოვებთ და ვაშინგტონით დავიწყებ. ცენტრმა რომ იზრუნოს ვაშინგტონის ფორმატში ჩართვაზე, უპატივცემლობას გამოიჩენს საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ამიტომ, სტრატეგიულ პარტნიორად და მეგობრად მიჩნეული ვაშინგტონი, ხუთეულის ფორმატში საქართველოს ხელისუფლებამ, კერძოდ, პრემიერ-მინისტრმა უნდა ჩართოს. დაგვრჩა მოსკოვი, რომლის ხსენებაც კი მავანს აცოფებს და მათთვის მოსკოვში ჩასული ქართველი საქართველოს მტერია. მაგრამ რუსეთი საქართველოს კარის მეზობელია და სანამ ჩვენი პლანეტა იცოცხლებს, კარის მეზობლად დარჩება. აბა, დაფიქრდით, თუ მოსკოვში არ ჩახვალთ ურთიერთობების გამოსასწორებლად, თუ მას არ შემოუშვებ თბილისში ურთიერთობებზე სასაუბროდ, რა ჯანდაბა გააუმჯობესებს საქართველოს და რუსეთის ურთიერთობებს? ამიტომ ცენტრი მოსკოვში ჩასვლას პოზიტიურად უყურებს, მაგრამ მოსკოვის ხუთეულის ფორმატში ჩართვის საკითხის მოგვარებას სოხუმისა და ცხინვალის დეფაქტო ლიდერებს სთხოვს, ან მათთან ერთად ჩავა მოსკოვში.

მესამე ნაბიჯი.__ხუთეულის ფორმატის შექმნის შემდეგ ცენტრმა უნდა იზრუნოს საკუთარი ოფისების გახსნაზე სოხუმსა და ცხინვალში. რაც შეეხება თბილისის ოფისს, ის ცენტრის დაფუძნების დროს უკვე გახსნილი იქნება. სწორედ ამ სამ ოფისში იმუშავებს ხუთეულის ფორმატი და ჩაატარებს სამუშაო რაუნდებს ასეთი მიმდევრობით: 1. თბილისში; 2. სოხუმში; 3. ცხინვალში; 4. ისევ თბილისში და ასე შემდეგ, საქართველოს გამთლიანებამდე, რასაც, როგორც აღვნიშნე, 24 რაუნდამდე დასჭირდება. მაგრამ კონფლიქტის მხარეები მსგავს რაუნდებს მესამე ქვეყნების ტერიტორიაზე ატარებენ, ძირითადად, ევროპის ქალაქებში, ცენტრი კი შინ ჩაატარებს უკლებლივ ყველა რაუნდს, შინ, ესე იგი: თბილისში, სოხუმში და ცხინვალში. რატომ ასე კატეგორიულად? იმიტომ, რომ ქართველებისთვის და ამიერკავკასიური წარმოშობის სხვა ერებისთვის, სირცხვილია საკუთარი პრობლემების მოსაგვარებელი რაუნდები დანიშნონ ამიერკავკასიის საზღვრებს გარეთ მდებარე ქალაქებში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ქალაქები ოქროთია ნაშენი და ზეპრესტიჟულად მიიჩნევა.

საქმე ის არის, რომ ამიერკავკასია განსაკუთრებული რეგიონია. მოგეხსენებათ, წარღვნის შემდგომი კაცობრიობის წინაპრები ნოეს კიდობანით გადარჩენილი ადამიანები არიან. ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა, საიდანაც ნოეს და მის გუნდს ამიერკავკასია მიმზიდველ მიმართულებად მოეჩვენებოდათ და ამ მხარის ათვისებას დაიწყებდნენ. გარდა ამისა, კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთეს ლეგენდაც უნდა სცოდნოდათ, ამიტომ უსათუოდ ამიერკავკასიას აირჩევდნენ და ამ მხარის პირველი აბორიგენები გახდებოდნენ. ამოტომ, წარღვნის შემდგომ კაცობრიობას სწორედ ამ აბორიგენებმა ჩაუყარეს საფუძველი, ანუ თანამედროვე კაცობრიობის წინაპართა აკვანი ამიერკავკასიაში დაირწა. რაღაც პერიოდის შემდეგ ამიერკავკასიის მოსახლეობა იმდენად გაიზარდა, რომ ხალხმა გადინება და სხვა მხარეების ათვისება დაიწყო, ჩვენ კი ამიერკავკასიურ წარმოშობას არ ვუღალატეთ და სამშობლოში დავრჩით, ამიტომაც არის სირცხვილი საკუთარი პრობლემების მოსაგვარებელი რაუნდების ამიერკავკასიის საზღვრებს გარეთ ჩატარება. ქართველებმა და ამიერკავკასიის სხვა აბორიგენებმა საკუთარი თავის ფასი უნდა ვიცოდეთ.

მეოთხე ნაბიჯი. როდესაც სამივე ოფისი მზად იქნება ხუთეულის წევრების მისაღებად, ცენტრი პირველი რაუნდის თარიღს დანიშნავს და მოიწვევს თბილისის, სოხუმის, ცხინვალის, მოსკოვის და ვაშინგტონის წარმომადგენლებს. ამით ხუთეული მუშაობას დაიწყებს და ამაში მეექვსე წევრის სტატუსით ჩაერთვება ცენტრიც. მუშაობის პირველ ეტაპზე მოიძებნება ტერიტორიული მოწყობის ისეთი მოდელი, რომელშიც თბილისი, სოხუმი და ცხინვალი დაინახავენ პოლიტიკურ თანასწორობას ურთიერთის მიმართ. მოგეხსენებათ, მე უპირატესობა ამერიკულ მოდელს მივანიჭე, ამიტომ წარმოვიდგინოთ, ვითომ სწორედ ამ მოდელზე შეაჩერეს თავისი ყურადღება ხუთეულის ფორმატის წევრებმა.

რა ხდება შემდეგ? შემდეგ უნდა გაირკვეს, რა განსხვავებაა აშშ-სა და საქართველოს შორის. მე არ ვგულისხმობ იმას, რომ აშშ ბირთვული იმპერიაა, საქართველო პატარა ქვეყანა, სხვა რამეს ვგულისხმობ, კერძოდ: აშშ-ში უამრავი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, ყველა მათგანი თავს ამერიკელად თვლის და ამაყობს ამით. საქართველოში ასე არ არის, მაგალითის სახით აზერბაიჯანელი რომ ავიღოთ, ის იტყვის, საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა, ქართველები ძმები და მე აზერბაიჯანელს საქართველოც მიყვარს და ქართველი ძმებიცო. ანუ აზერბაიჯანელი არ დამალავს თავის ეროვნებას, პირიქით, ამაყობს ამით. საქართველოში მცხოვრები ყველა ძირძველი ეროვნებების წარმომადგენლები ამაყობენ საკუთარი ეროვნებით. მეტსაც გეტყვით, პირადად ჩვენ, ქართველები, ერთგვარი სიამაყით მოვიხსენიებთ საკუთარ კუთხურობას: აჭარლობას, იმერლობას, კახელობას და ასე შემდეგ. გარდა ამისა, ყველა კუთხეს თავისი კულტურა და ტრადიციები გააჩნია. ამიტომ, აშშ-სა და საქართველოს შორის უდიდესი განსხვავებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკული მოდელის ერთი-ერთში გადმოტანა შეუძლებელი იქნება. ამ მოდელის კოპირება რომ ყოფილიყო შესაძლებელი, საქართველოს სამ რაუნდში გაამთლიანებდა ხუთეულის ფორმატი, მაგრამ, რადგან ეს მოდელი აქაური ეროვნებების კულტურასაც უნდა მოერგოს და ტრადიციებსაც, ამიტომაც გახდება საჭირო 24 რაუნდის ჩატარება. ვინაიდან ჩვენ განვიხილავთ შტატებად დაყოფის მოდელს, გამთლიანებული საქართველოს ყველაზე მოცულობით შტატებს შორის აფხაზეთის შტატიც აღმოჩნდება, ამიტომ ბუნებრივია, რომ აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციები უნდა აისახოს აფხაზეთის შტატში, იგივე უნდა მოხდეს დანარჩენ შტატებშიც და თუ შტატებად საქართველოს კუთხეებიც დაიყოფა, ხუთეულის ფორმატის წევრებს საკმაოდ დიდი სამუშაო ექნებათ ჩასატარებელი. როდესაც ეს სამუშაოები დასრულდება, ამერიკული მოდელი ვარგისი გახდება საქართველოსთვისაც. ამით საქართველოს გამთლიანების პროცესი დასრულდება და ახალ კონსტიტუციაში აისახება, ვინაიდან გამთლიანებული, ანუ ახალ საქართველოს აუცილებლად დასჭირდება ახალი კონსტიტუციის შექმნაც.

მეხუთე ნაბიჯი.__ხუთეულის ფორმატის წევრები უნდა შეთანხმდნენ იმაზე, რა ინტერვალი იქნება რაუნდებს შორის - 15-დღიანი თუ 30-დღიანი. 15-დღიანი ინტერვალის შემთხვევაში, 24 რაუნდის ჩატარებას ერთი წელი, 30-დღიან ინტერვალს კი ორი წელი დასჭირდება. ამიტომ, თუ ისეთი მოსაზრებით გამოვალთ, რომ საქართველოს გამთლიანებამ შეიძლება შეაჩეროს უკრაინის ომი მშვიდობიანი დიალოგის სასარგებლოდ, ბუნებრივია, 15-დღიანი ინტერვალი უნდა ავირჩიოთ. ამით მოვიგებთ ერთ წელიწადს მოვიგებთ და უკრაინაში უამრავ სიცოცხლეს გადავარჩენთ.

მეექვსე ნაბიჯი. საქართველოს გამთლიანებით ხუთეულის ფორმატის მუშაობა არ დასრულდება, ვინაიდან პასუხგაუცემელი დარჩება მთავარი შეკითხვა: „რა ურთიერთობა უნდა ჰქონდეს გამთლიანებულ საქართველოს გარე სამყაროსთან“? ეს შეკითხვა შეიძლება ჩამოყალიბდეს ასეც: „რა უნდა ჩაიდოს გამთლიანებული საქართველოს საგზაო რუკაში“?

და მართლაც, როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან, თუნდაც აშშ-სთან და რუსეთთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს გამთლიანების პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში სწორედ ისინი ებრძვიან ერთმანეთს?

გამთლიანების შემდეგ საქართველოს ორივე ბირთვულ იმპერიასთან მოუწევს მეგობრობა. რატომ? იმიტომ, რომ არც სოხუმი და არც ცხინვალი უარს არ იტყვიან რუსეთთან მეგობრობაზე, თბილისი კი, სავარაუდოთ, უარს არ იტყვის აშშ-თან მეგობრობაზე. აქედან გამომდინარე, გამთლიანებ-

ულმა საქართველომ უნდა იმეგობროს ყველასთან, ვინც მასთან მეგობრობას მოისურვებს. ამიტომ, საქართველოს საგზაო რუკის: „დევიზი“, „სლოგანი“ და თუ გნებავთ, „ფორმულა“, უნდა გახდეს ყოვლისმთქმელი ფრაზა: „მეგობრობა გზად და ხიდად“. რა თქმა უნდა, ხვდებით, რომ ეს სიტყვები მე არ მეკუთვნის, მაგრამ ზუსტად ასახავს იმას, თუ რა ურთიერთობა უნდა ჰქონდეს გამთლიანებულ საქართველოს გარე სამყაროსთან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოთაშორის მეგობრობას საფუძვლად პოლიტიკური თანასწორობა უდევს. საქართველოს გამთლიანების შემდეგ, ავტომატურად დამყარდება პოლიტიკური თანასწორობა ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან და აშშ-სთან. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს არც ევროპა და არც აშშ, საქართველოს პოლიტიკური თანასწორობის ღირსად არ მიიჩნევენ, პირიქით, მორჩილებას მოითხოვენ, ამის მისაღწევად კი მორჩილი ხელისუფლება ესაჭიროებათ და არა „ოცნებისნაირი“, რომელიც წინა პლანზე საქართველოს ინტერესებს აყენებს.

თავადაც განსაჯეთ, ამერიკელი სტუდენტების საპროტესტო აქციების ის ნაწილი, რომელიც გასცდა დემოკრატიის საზღვრებს და ძალადობაში გადაიზარდა, ბატონმა ბაიდენმა ანტიდემოკრატიულად, კანონდარღვევად და ძალმომრეობად შერაცხა. საქართველოს საპროტესტო აქციებში მომხდარ ძალადობას ევროპაც და ამერიკაც დემოკრატიულ, ანუ ნორმალურ პროცესებად აღიარებენ. რისთვის სჭირდებათ ეს ორმაგი სტანდარტი? რატომ შეიძლება მათ მიიღონ გამჭირვალობის კანონი, ჩვენ კი არა, ვინაიდან ამით ვითომ ევროპულ პერსპექტივას ვაზიანებთ. რატომ ახალისებენ პროტესტის ძალადობრივ ფორმებს თუ მეთოდებს? იმიტომ, რომ მორჩილი ხელისუფლების მოყვანის შანსს მხოლოდ გადატრიალებაში ხედავენ. ამ ანტიდემოკრატიულ საქმეში მოზარდებიც კი ჩართეს და ეს მოზარდები გააფთრებით იცავენ ევროპულ მომავალს, მაშინ, როდესაც ამ მომავალს საფრთხე არ ემუქრება. მეტსაც გეტყვით, ევროკავშირის წევრი საქართველო გახდება სხვა კანდიდატებზე ბევრად ადრე. რატომ? იმიტომ, რომ რამდენიმე წელიწადში საქართველოდან აითვლება, ანუ დაიწყება ის უმოკლესი გზა, რომლითაც ევროპა მიიღებს სასიცოცხლო მნიშვნელობის „ბრენდებს“. ამით საქართველოს მნიშვნელობა ერთი-ასად გაიზრდება და ევროკავშირში სხვებზე ადრე მიგვიღებენ თუნდაც იმიტომ, რომ მალე ძალიან დავჭირდებით. საქართველოს მნიშვნელობის მკვეთრ ზრდას ევროპაც პროგნოზირებს და ამერიკაც, ამიტომაც ფიქრობენ მორჩილი ხელისუფლების თუნდაც ძალადობრივი გზით მოყვანაზე და ასეთი საშიშროების ალბათობა დიდია. მაგრამ ვიმეორებ, საქართველოს გამთლიანება ამ საშიშროებასაც მოხსნის და ევროპასთან და ამერიკასთანაც პოლიტიკურ თანასწორობასაც დაამკვიდრებს.

მეშვიდე ნაბიჯი. ეს ნაბიჯი ახალგაზრდების გადასადგმელია, ამიტომ მივმართავ ახალგაზრდებს: მეგობრობა და მორჩილება ერთი და იგივე არ არის. საქართველო უნდა მეგობრობდეს ევროპასთან და აშშ-სთან, მაგრამ როგორც მათი თანასწორი და არა როგორც მორჩილი. დღეს საკითხი დგას ასე: „თანასწორობა თუ მორჩილება?“, „დემოკრატიის მშენებელი საქართველო, თუ ორმაგი სტანდარტების საქართველო?“ თუ საქართველო მორჩილი გახდება, დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დაიბრუნებს. რა შუაშია ტერიტორიების დაბრუნებასთან თანასწორობა ან მორჩილება, ამაზე ახლა არ ვისაუბრებ, მაგრამ თუ მოისურვებთ, აუცილებლად აგიხსნით. ახლა მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ თანასწორი დასავლელ მეგობრებთან და ამერიკასთან მხოლოდ მაშინ ვიქნებით, თუ მათი მორჩილები გავხდებით. ეს ახალგაზრდებმა უნდა გადაწყვიტოთ. რატომ? იმიტომ, რომ ახალგაზრდობა უძლეველი ძალაა, მთავარია, ეს ძალა საქართველოს მოახმაროთ.

...ამით ვამთავრებ პუბლიკაციების ციკლს და ნიშანდობლივია, რომ ვამთავრებ ახალგაზრდული ძალის აღიარებით. ახალგაზრდებს იუმორის კარგი გრძნობა აქვთ და ამიტომ მინდა, იუმორით ვუთხრა მათ: „სიტყვით მე უკვე გავამთლიანე საქართველო, რისთვისაც ოთხი პუბლიკაცია დამჭირდა“, მაგრამ სიტყვა საქმით ფასობს და ამ საქმეში ახალგაზრდების როლი მნიშვნელოვანი იქნება.

რას ვგულისხმობ? იმას, რომ თუ ახალგაზრდები იგივე ენერგიით დაიცავენ „პოლიტიკური თანასწორობით საქართველოს გამთლიანების ცენტრის“ დაფუძნების აუცილებლობის იდეას, როგორც დასავლურ პერსპექტივას იცავენ, ეს ცენტრი დაფუძნდება და ერთ წელიწადში საქართველო გამთლიანდება, მაგრამ არავის ვექტორზე დადგომას აღარ მოისურვებს. დღეს თქვენ, ახალგაზრდებო, საქართველოს მომავალს დასავლეთისა და აშშ-ს ვექტორზე დადგომაში ხედავთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტმა უკვე მეორედ უთხრა ამერიკას, ჩვენ შენი ვასალები არ ვართო. გაითვალისწინეთ ისიც, რომ თუ ძლიერს ვეძებთ, დღევანდელ მსოფლიოში ორი ზემძლავრი ბირთვული იმპერიაა - აშშ და რუსეთი. ამიტომ, თუ ვიღაცის ვექტორზე დადგომაში ხედავთ საქართველოს მომავალს, არჩევანი ამ ორ ბირთვულ იმპერიას შორის უნდა გააკეთოთ. მაგრამ პირველ თუ მეორე პუბლიკაციაში, მე უკვე ვთქვი, რომ ვის ვექტორზეც დავდგებით, მის „ვექტორზე“ დაჯდომაც მოგვიწევს, რაც ტრადიციული ორიენტაციის ადამიანისთვის და, მით უმეტეს, ქართველისთვის, ვფიქრობ, დამამცირებელი უნდა იყოს. მე რას ვფიქრობ, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, თქვენ რას ფიქრობთ, ახალგაზრდებო, უნდა დავაჯდეთ ვიღაცას „ვექტორზე“, თუ საკუთარი ქართული კურსით უნდა ვიაროთ? რას ნიშნავს ქართული კურსი? ეს ნიშნავს მეგობრობის ხელის გაწოდებას ყველასთვის, ვინც საქართველოსთან მეგომრობას მოინდომებს პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე. საქართველოსთან კი, მისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მეგობრობას ყველა მოისურვებს, მთავარია, ჩვენ საკუთარი თავის ფასი ვიცოდეთ და ყველასგან პოლიტიკური თანასწორობა მოვითხოვოთ.

და ბოლოს, ეს პუბლიკაციები არ იქნებოდა, თუ არა „საერთო გაზეთის“ რედაქტორ-გამომცემლის, თამარ ბერძენიშვილის პირადი აქტიურობა, ამიტომ, მიუხედავად იმისა, გამოიღებს თუ არა ჩემი პუბლიკაციები საქმისთვის საჭირო ნაყოფს, მადლობას ვუხდი ქალბატონ თამარს გულწრფელი თანამშრომლობისთვის.

როლანდ ნიკოლაიშვილი
„მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრის“ თავმჯდომარე

ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი კობახიძეს

ბატონო პრემიერო!

თქვენმა გამოსვლამ უნგრეთის რესპუბლიკაში გამართულ ტრადიციულ, ეროვნული ფასეულობების დაცვის ეგიდით გამართულ ფორუმზე და საქართველოს პარლამენტში ჩამოყალიბებული ფრაქციის, „ხალხის ძალის” მიერ გამოქვეყნებულილმა განცხადებამ იმედი მოგვცა, რომ ნეოლიბერალური მარაზმი, რომელსაც ცხონებულმა რეიგანმა ნეოლიბერალური ფაშიზმი უწოდა, საქართველოში ვერ იბოგინებს, ეს უსამშობლო ე. წ. ოპოზიცია ქართულ ეროვნულ ცნობიერებას ვერ წალეკავს.

მოგიწოდებთ, ბატონო პრემიერო, სასწრაფოდ გადადგათ კონკრეტული ნაბიჯები საიმისოდ, რომ ფსევდოლიბერალური ვირუსით გამოწვეული პანდემია შეჩერდეს და საბოლოოდ ამოიშანთოს.

პირველ ყოვლისა, უნდა გადავარჩინოთ მომავალი თაობა, თორემ ნატა ფერაძეებს, ზურაბ გირჩი-ჯაფარიძეებს, ფსიქიკურად დაავადებულ სტაჟიან უზნეოებს, რომელთა უმრავლესობა საპარლამენტო ოპოზიციაშია, უკვე აღარაფერი ეშველებათ.

აუცილებლად მიმაჩნია, სკოლა გახდეს ზნეობისა და ეროვნული ცნობიერების დაცვისათვის ბრძოლის ფორპოსტი.

ის ახალგაზრდები, რომლებიც ე. წ. მოლოტოვის კოქტეილებით წვავდნენ პოლიციელებს, პარლამენტში განსახილველ კანონს აპროტესტებდნენ და ახლაც პერმანენტულ აქციებზე დგანან და კვლავაც აპროტესტებენ იმ კანონებს, რომელთა შინაარსზე წარმოდგენაც არ აქვთ, ევროპა საკუთარი „შინ“ ჰგონიათ და შინ გვინდა დაბრუნებაო, ბღავიან, სწორედ ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის პროდუქტია, სისტემისა, რომელმაც უარი თქვა მოზარდი თაობის აღზრდაზე, რადგან აღზრდა, ღმერთგამწყრალი ნეოლიბერალების ზეგავლენით, პიროვნებაზე ძალადობად მიაჩნიათ.

სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებშიც უვიცობის ბუმია, რადგან ღმერთგამწყრალი და უსამშობლო „ავტორიტეტები”, ვის ხელშიც არის ახლანდელი განათლების სადავეები, მცოდნე და ზნეობრივ თაობას ვერ გაზრდის.

ეროვნული განათლების სისტემის მიერ აღზრდილ ახალგაზრდობას, ეს ჭკუათხელი და უვიცი ენჯეოაქტივისტები თავიანთი სულელურად მარტივი დემაგოგიით ქუჩაში ვერ გამოიყვანენ. ამიტომ, ბატონო პრემიერო, აუცილებლად მიმაჩნია, განათლების სამინისტრომ დაუყოვნებლივ აღადგინოს აღზრდის სისტემა და აღზრდა სკოლის უპირველს პრიორიტეტად იქნას მიჩნეული. საამისოდ გამოყენებული უნდა იქნას აღზრდის არსებული გამოცდილება, ის მდიდარი თეორიული მემკვიდრეობა, რომელიც ცნობილმა ქართველმა პედაგოგებმა და ფსიქოლოგებმა შექმნეს. ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ცოცხალია. უამისოდ თაობის ზნეობრივ-პატრიოტულ აღზრდაზე ლაპარაკი ფარისევლობა და დიდი სიბრიყვეა.

ასევე სასიცოცხლოდ აუცილებელია განათლების მინისტრის მიერ გახმაურებული ინიციატივა სკოლის დეცენტრალიზაციის შესახებ, მიჩნეულ იქნას დივერსიად ქართული საგანმანათლებლო სისტემის მიმართ.

ბატონო პრემიერო! ჯერ ერთი, ამერიკის შეერთებული შტატების საგანმანათლებლო გამოცდილება ჩვენთვის და სხვა ეროვნული სახელმწიფოებისათვის სრულიად მიუღებელია, სწავლების მეთოდიკაში გარკვეული სიახლეების გამოკლებით და, მეორე; სრული სიცრუეა ის, რომ აშშ-ში სკოლების დიდი უმრავლესობა კერძო სასწავლო დაწესებულებაა. სინამდვილეში, არასახელმწიფო, ანუ კერძო სკოლების რაოდენობა მხოლოდ შვიდი (7) პროცენტია. ამასთან, განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია ე. წ. კერძო სკოლების რაოდენობის სიმრავლეს არ ნიშნავს, ამის განმარტებით თავს არ შეგაწყენთ.

ახლა მხოლოდ თქვენი ხელისუფლების იმედედზეღა ვრჩებით, რადგან ის სტრუქტურები და ინსტანციები, რომლებიც თავის დროზე არსებობდა – იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, პედაგოგიკის კათედრები, პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლები, ან განადგურებულია, ან დემორალიზებულია და ნეოლიბერალურ მარაზმს, რომელიც მალე წარღვნად იქცევა, წინააღმდეგობას ვერ უწევს.

თქვენც კარგად იცით, ბატონო პრემიერო, რომ დაყოვნების დრო აღარ გვაქვს!

ბატონო პრემიერო, გავკადნიერდები და შეგახსენებთ ერთ ისტორიულ ფაქტს, რაც სასკოლო განათლების დიდ სახელმწიფოებრივ-ეროვნულ მნიშვნელობაზე ღაღადებს.

XIX საუკუნეში, როდესაც გერმანიამ მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ომი მოუგო საფრანგეთს, „რკინის კანცლერმა“ ოტო ბისმარკმა მადლობა გადაუხადა არა გენერლებს, არამედ სოფლის სკოლის გერმანელ მასწავლებლებს, რომლებმაც ქვეყნისთვის თავდადებული, პატრიოტი თაობა აღზარდეს!

ჭკვიანი კაცი იყო ოტო ბისმარკი! დამეთანხმებით, ალბათ!

ზურაბ ცუცქირიძე
პედაგოგიკის დოქტორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიისი წევრი
ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი
ღირსების ორდენის კავალერი

დასავლეთიდან წამოსული ზეწოლა საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება

გვესაუბრება საბანკო საქმის ექსპერტი, პროფესორი ლია ელიავა

— ქალბატონო ლია, წინა კვირას ლარი მკვეთრად გაუფასურდა, რაც გამჭვირვალობის კანონის მესამე მოსმენით მიღებას დაუკავშირეს. რეალურად რამ გამოიწვია რყევები?

— ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები პოლიტიკურ პროცესებთან მჭიდრო კავშირშია. პოლიტიკური სტაბილურობა ეკონომიკურ სტაბილურობას განაპირობებს. ეს აქსიომაა. როცა ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება იძაბება, ამ დროს კაპიტალი არასასურველი ეკონომიკური პროცესებისგან თავს იზღვევს და ქვეყნიდან „გარბის". ანუ, ბიზნესმენების გარკვეულმა კატეგორიამ ფული საზღვარგარეთ გაიტანა. შესაბამისად, კომერციულ ბანკებში უცხოური ვალუტის უკმარისობა გაჩნდა, რაც ლარის კურსზე აისახა. „ეროვნულმა ბანკმა", ბუნებრივია, შესაბამისი ზომები მიიღო და კომერციულ ბანკებს უცხოური ვალუტის დანაკლისი ნაწილობრივ შეუვსო, რაც ლარის კურსსაც დაეტყო. ფაქტობრივად, ქვეყნიდან „გაქცეულმა" ფულმა ლარის კურსის სერიოზული ვარდნა გამოიწვია, რაც პირდაპირ პოლიტიკურ არასტაბილურობასთან არის კავშირში. როცა ქვეყანა დამშვიდდება, საპროტესტო გამოსვლები შეწყდება, ლარის კურსი ძველ პოზიციას დაუბრუნდება. რაც შეეხება გამჭვირვალობის კანონის მიღებას, ეს ლარის გაუფასურებასთან არავითარ კავშირში არ არის.

— ბოლო პერიოდში ეკონომიკური ზრდა გვქონდა. საპროტესტო გამოსვლები ამ პროცესს შეანელებს?

— ეკონომიკური ზრდის შენელება მოსალოდნელია ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების ფონზე, რადგან ამ დროს მკვეთრად იკლებს ლარის მოხმარება. ანუ, გაზრდილი ფასების შედეგად, ფულს ბიზნესიც ხელმომჭირნედ მოიხმარს და განსაკუთრებით, მოსახლეობაც. შესაბამისად, ეს ეკონომიკური ზრდის შენელებას იწვევს. პროგნოზები, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის თაობაზე კეთდებოდა, ფაქტობრივად, გაუმართლებელი აღმოჩნდება, რადგან პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც მძიმე პროცესები განვითარდა. ნებისმიერი პოლიტიკური რყევა და, მით უფრო, პოლიტიკურ პროცესებზე უცხოეთიდან განხორციელებული ზეწოლა, ქვეყნის ეკონომიკას, მისი განვითარების შენელების თვალსაზრისით, ყოველთვის დაღს დაასვამს.

— ინვესტიციების განხორციელების კუთხით რას უნდა ველოდოთ?

— ფულის დაბანდება ისეთ ქვეყანაში, სადაც გაურკვეველი პოლიტიკური სიტუაციაა, არავის უნდა. არათუ უცხოელებს, ადგილობრივ ბიზნესმენებსაც საკუთარი ფული სტაბილურ ქვეყნებში გააქვთ. თუ ვითარება არ დასტაბილურდება, აქ ინვესტიციების განხორციელების იმედი არ უნდა გვქონდეს. თუ ვითარება დამშვიდდება, ეკონომიკაც წინსვლას გააგრძელებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საპროტესტო გამოსვლები არ შენელდა, ეკონომიკა საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში მოექცევა.

— გამოსავალი რა არის. პროტესტანტები აცხადებენ, რომ გამოსვლებს არ შეწყვეტენ, სანამ ხელისუფლება კანონს უკან არ გაიწვევს...

— ხელისუფლებამ გარე ძალების ზეწოლის გამო, კანონი ერთხელ უკვე უკან გაიწვია. მიმაჩნია, რომ მეორედ ამ ნაბიჯის გადადგმა მის ავტორიტეტს შეარყევს. ანუ, თავად კანონში კატასტროფულს ვერაფერს ვხედავ. მსგავსი კანონი ევროპის ბევრ ქვეყანაშია. არეულობა რაც ახლა საქართველოში ხდება, ჩემი აზრით, გარე ზეწოლით არის განპირობებული. ჩემთვის ეს აბსოლუტურად უცნაური და გაუგებარია. როცა ევროპის რიგ ქვეყნებში მსგავს კანონს უპრობლემოდ იღებენ, საქართველოსთვის რატომ არის პრობლემა?! გაუგებარია, დასავლეთი თითს რატომ გვიქნევს. მთავრობამ ავტორიტეტისა და სიძლიერის შესანარჩუნებლად, აუცილებელია გზას, რომლითაც მიდის, არ გადაუხვიოს, რადგან გამჭვირვალობის კანონის არსი სწორედ უცხოური გავლენისგან პოლიტიკური ველის დაცვაში ანუ, უცხოური ფულისგან ქვეყნის დაცვაში მდგომარეობს. მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება ხელისუფლებაში, ნებისმიერმა მთავრობამ ქვეყანა გარე ძალების გავლენებისგან უნდა დაიცვას.

— ტურიზმის სექტორიც ჩივის, რომ ჯავშნები უქმდება...

— ქვეყანაში, სადაც არასტაბილური ვითარებაა, დასვენება არავის უნდა. დემონსტრაციებს ყველა უფრთხის, რადგან არავინ იცის, ეს რა შედეგით დასრულდება.

— დასავლეთი პერსონალური სანქციების დაწესებით გვემუქრება. როგორ აისახება ეს ეკონომიკაზე?

— პერსონალური სანქციები ეკონომიკაზე გავლენას ვერ მოახდენს, თუ სანქცირებული პირები ბიზნესმენები არ იქნებიან. თუ ჩვენი „ღრმა მეგობრები" ბიზნესს გადაწვდებიან, ჩვენზე სერიოზული ზეწოლის განხორციელებას გადაწყვეტენ, რა თქმა უნდა, ბიზნესზე სანქციები, პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე არდაშვება, ბიზნესის საქმიანობაში ხელის შეშლა, ეკონომიკაზე სერიოზულ გავლენას მოახდენს. სხვა მხრივ, ჩინოვნიკებზე დაწესებული პერსონალური სანქციები ეკონომიკურ პროცესებზე გავლენას ნამდვილად არ მოახდენს. მეგობარი ქვეყნებისგან ასეთი საქციელი გულდასაწყვეტი, დამაფიქრებელი იქნება.

— ლონდონის საფონდო ბირჟაზე ქართული ბანკების აქციების ფასები დაეცა. რა საფრთხის შემცველია ეს?

— უცხოეთის საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდები კვოტირდება იმითაც, თუ რამდენად წარმატებულია თავად ეკონომიკაც. ძირითადად, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების საექსპერტო დასკვნებს ეყრდნობიან. თუ ქვეყანაში მძიმე პოლიტიკური ვითარება გაგრძელდა, ბუნებრივია, ეკონომიკასაც პრობლემები შეექმნება, საერთაშორისო სარეიტინგო საექსპერტო კომპანიების მიერ ქვეყნის რეიტინგის მაჩვენებლები გაუარესდება. ეს კი პირდაპირ საფონდო ბირჟებზე, საქართველოს ბიზნეს სტრუქტურების აქციების კვოტირებაზე მოახდენს ზემოქმედებას. ანუ ეს გადაჯაჭვული პროცესია. ფასიანი ქაღალდების ღირებულების ვარდნა სწორედ ამით იყო გამოწვეული. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პოზიციას დაიკავებს მთავრობა. ანუ, ამ პოლიტიკურ აჟიოტაჟს აჰყვება, თუ სიმტკიცეს შეინარჩუნებს. უცხოელი ინვესტორები ამ ყველაფერს აანალიზებენ. გარდა ამისა, საქართველოზე ევროპისა და ამერიკის მხრიდან ზეწოლის პროცესებსაც აანალიზებენ. თუ გარედან ზეწოლა გაძლიერდა, შესაძლებელია, ეკონომიკაც დაზიანდეს და ქვეყნის რეიტინგიც შემცირდეს. შესაბამისად, საფონდო ბირჟაზე ქართული ბანკების ფასიანი ქაღალდების ღირებულებაც შემცირდება. თუმცა ეს ყველაფერი გამოსწორებადი, დროებითია.

— საქართველო საბანკო ეკონომიკის ქვეყანაა — აქ ყველა ბიზნესი ბანკის სესხით კეთდება. თუ ბანკებს ფულის პრობლემა შეექმნებათ, ეს რას გამოიწვევს?

— თუ საქართველოს წინააღმდეგ სერიოზული სანქციები დაწესდება და ეს ბანკებს შეეხება, რაც დასავლელი პარტნიორების მხრიდან ყოვლად გაუმართლებელი და არასამართლიანი იქნება. რა თქმა უნდა, ქვეყანას ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნება. ანუ, საბანკო გადმორიცხვები თუ შეწყდება, ეს ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის დიდი ტრაგედია იქნება. რუსეთი ამგვარ სანქციებს კი უძლებს, მაგრამ საქართველო ვერ გაუძლებს და რამდენიმე კვირაში დაიშლება — როგორც ქვეყანა აღარ იარსებებს. ამიტომ, თუ ვინმემ საქართველოს მოსპობა, პირისაგან მიწისა აღგვა მოინდომა, ქართულ ბიზნესს დაასანქცირებს. ეს კატასტროფა იქნება. იმედს ვიტოვებ, რომ საქმე აქამდე არ მივა და ამ პოლიტიკურ რყევებსაც გავუძლებთ და ეკონომიკურ პრობლემებსაც.

— როგორც ამბობენ, ჩვენი ეკონომიკის 80 პროცენტი დასავლურ ეკონომიკაზე დგას. მავანი შიშობს, ევროპული კაპიტალი საეჭვო კაპიტალით არ ჩანაცვლდესო და თითს რუსეთისკენ იშვერს...

— რაც შეეხება, ზოგადად, რუსულ ფულს, ის საქართველოში ყოველთვის იყო, არის და იქნება. რუსული ფული დღესაც მუშაობს და არ მესმის, რატომ არის საეჭვო. რუსეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანა და თურქეთის მერე, მეორე სავაჭრო პარტნიორია. რუსეთის ბაზარი რომ გადაიკეტოს, პრობლემები შეგვექმნება. აქ უფრო პოლიტიკური ფაქტორი მუშაობს, ვიდრე ეკონომიკური. ჩვენ გვინდა ე. წ. მეგობრების თვალში, რომლებიც თითს გვიქნევენ და შიდა პოლიტიკური პროცესების დამოუკიდებლად წარმოებას გვიკრძალავენ, კარგად გამოვიყურებოდეთ. ამიტომ ამას რუსული ფულისადმი გარკვეულ ზიზღს და მიუღებლობას ვაბამთ. ასეთ პოზიციას ვერ გავიზიარებ. საქართველო აბსოლუტურად ყველასთან უნდა მეგობრობდეს და ვაჭრობდეს. იმიტომ, რომ ჩვენ ძალიან პატარა ქვეყანა ვართ და ერთ სავაჭრო პარტნიორზე დამოკიდებულება ჩვენთვის ძალიან სახიფათოა. ვთქვათ, მხოლოდ თურქეთზე რომ ვიყოთ დამოკიდებული, ის საქართველოზე რომ განაწყენდეს და ბაზარი გადაგვიკეტოს, ხალხი შიმშილით დაიხოცება. ჩვენ არ გვაქვს იმ რაოდენობის შიდა წარმოება, რომ საკუთარი თავი გამოვკვებოთ. ჩემი აზრით, სავაჭრო ურთიერთობების განვითარება აუცილებელია ყველასთან, ვისთანაც ხელი მიგვიწვდება და როგორც სავაჭრო პარტნიორს, მიგვიღებს.

— ბოლოს, გვითხარით, როგორ აფასებთ კანონპროექტს ოფშორებიდან ფულის გადმოტანის შესახებ?

— ოფშორების მართვა საქართველოს კი არა, უძლიერეს ქვეყნებსაც არ შეუძლიათ. ანუ, ოფშორებში დამალული ფულის საქართველოში დაბრუნება, პრაქტიკულად, გამორიცხულია. ერთადერთი, რაც შესაძლებელია, სახელმწიფო მოხელის მიერ ფულის ქვეყნიდან გატანის პროცესის გაკონტროლებაა. ანუ, სახელმწიფო მოხელეს ფულის ოფშორულ ზონებში შენახვა უნდა აეკრძალოს. თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ ეს ძალიან ძნელად მოსაძიებელი ინფორმაციაა და, ფაქტობრივად, უკონტროლო პროცესია. საქართველოში ისეთი ინსტიტუციური სტრუქტურები, რომლებიც ამ პროცესის გაკონტროლებას შეძლებენ, სუსტია. კანონის მიღებას მივესალმები, მაგრამ ეს რამდენად ეფექტურად იმუშავებს, დრო გვიჩვენებს.

თამარ შველიძე

ვის უნდა მივმართოთ, თუ ბანკი ჩვენს უფლებებს არღვევს

ვაგრძელებთ საბანკო საქმესთან დაკავშირებული სტატიების სერიას. როგორც ჩანს, სასესხო და, ზოგადად, კომერციულ ინსტიტუტებთან ურთიერთობები იმდენად აქტუალური გახდა, გადავწყვიტეთ, კიდევ ერთი სამართლებრივი ხასიათის წერილი შემოგთავაზოთ, რომელიც ბანკის მიმართ პრეტენზიის შემთხვევაში თქვენი უფლებების დაცვაში დაგეხმარებათ.

რა უნდა ვიცოდეთ ეროვნული ბანკის შესახებ

საქართველოს კონსტიტუციით, ეროვნული ბანკი ნებისმიერი კომერციული ბანკის მაკონტროლებელი ორგანოა, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, განსაკუთრებით ფინასური სექტორის მხრიდან წარმოშობილი დავის დროს. ამ მიზნით 2017 წელს საქართველოს ეროვნული ბანკის სივრცეში **მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილება დაფუძნდა,** რომელიც ფინანსური სექტორის საკანონმდებლო მოთხოვნების აღსრულების მონიტორინგს ახორციელებს. **ამ განყოფილების ერთ-ერთი ფუნქცია მომხმარებლებისაგან პრეტენზიების მიღება, განხილვა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეაგირებაა.** აღსანიშნავია, რომ ფინანსური განათლების ფარგლებში შეიქმნა დამოუკიდებელი ვებ-პორტალი, პირველი ქართული საგანმანათლებლო პლატფორმა **FinEdu,** რომელიც მთლიანად ფინანსურ განათლებას ეძღვნება და თავს უყრის ისეთ საგანმანათლებლო რესურსებს, როგორიცაა პუბლიკაციები, ბლოგები, ბროშურები, სახელმძღვანელოები და სხვა მსგავსი ნაბეჭდი და დამხმარე მასალა, ვიდეო და აუდიოკონტენტი. მეტი დეტალებისთვის ეწვიეთ ფინანსური განათლების ვებგვერდს.

როგორ რეგულირდება საფინანსო სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხები

მომხმარებლად განიხილება ფინანსური სექტორის ნებისმიერი არსებული ან პოტენციური, კლიენტი, რომელიც შესაძლოა, იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ფინანსურ ორგანიზაციად კი მიიჩნევა კომერციული ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, საკრედიტო კავშირი და სესხის გამცემი სუბიექტი. წესი, რომელიც, ერთი მხრივ, არეგულირებს მომხმარებლისთვის პროდუქტების შეთავაზებიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე პროცესს, მეორეს მხრივ, ადგენს ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებებს და მომხმარებლის უფლებებს ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პერიოდშიც. ამასთან, წესით გათვალისწინებულია მომხმარებლის მხრიდან დაფიქსირებულ პრეტენზიებზე რეაგირების საკითხები, მომხმარებლების ინფორმირების მოთხოვნები, სესხის წინსწრებით დაფარვის პროცესი და საკომისიოები, მომხმარებელთან დასადები ხელშეკრულების ფორმა და სხვა.

აღნიშნული განყოფილება, რომელიც მომხმარებელთა ინტერესებს იცავს, ფინანსურ ორგანიზაციებს მკაცრ მოთხოვნებსაც უწესებს. კერძოდ, საქართველოს **„სამოქალაქო კოდექსის“ 625-ე მუხლი,** მათ შორის, ფინანსური სექტორის მომხმარებლებისთვის, მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. **აღნიშნული მუხლით, დადგენილია სესხებზე დასარიცხი მაქსიმალური წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ოდენობა, დღიური პირგასამტეხლოს მაქსიმალური ოდენობა და, ვადა გადაცილების შემთხვევაში, ჯამურად დასარიცხი ზღვრული თანხის ლიმიტი. ასევე, სესხის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, მაქსიმალური პირგასამტეხლოს ოდენობა. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ ამავე მუხლით, გარკვეული ლიმიტის ფარგლებში დადგენილია შეზღუდვები როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირებისთვის გასაცემი სესხის ვალუტაზე.**

ეროვნული ბანკის აზრით, აღნიშნული წესი უზრუნველყოფს მომხმარებლისთვის საგადახდო მომსახურების პირობების ხელმისაწვდომობასა და სრულ გამჭვირვალობას იმისთვის, რომ საგადახდო მომსახურების მომხმარებელს საშუალება ჰქონდეს, გათვითცნობიერებულად გააკეთოს არჩევანი. წესი ვრცელდება საქართველოში მოქმედ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ საგადახდო მომსახურების პროვაიდერებზე და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე. წესი განსაზღვრავს საგადახდო მომსახურების მიღებამდე და მას შემდეგ, პროვაიდერების მიერ მომხმარებლისათვის საგადახდო მომსახურების, მათ შორის, გადასახდელი საკომისიოს შესახებ მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალს და მისი მიწოდების ფორმას.

თუ ფიქრობთ, რომ ფინანსური ორგანიზაცია არღვევს თქვენს უფლებებს, უკმაყოფილო ხართ, არ ეთანხმებით მის რომელიმე გადაწყვეტილებას, თქვენ უფლება გაქვთ, დააფიქსიროთ თქვენი პრეტენზია ამ ფინანსურ ორგანიზაციაში: ზეპირად; სატელეფონო კომუნიკაციით; წერილობით, ან ელექტრონულად. ამ დროს არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა პერიოდია გასული პრეტენზიაში აღნიშნული საკითხის წარმოშობიდან მის დაფიქსირებამდე. როდესაც პრეტენზიას ზეპირად აფიქსირებთ და საკითხი მაშინვე ვერ გვარდება, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია, შემოგთავაზოთ პრეტენზიის წერილობითი ან ელექტრონული ფორმით დაფიქსირების ალტერნატივა.

როდესაც პრეტენზიას წერილობით ან ელექტრონულად აფიქსირებთ, ფინანსურმა ორგანიზაციამ უნდა დაგიდასტუროთ მისი მიღება, წერილობითვე ან ელექტრონულად. ამის შემდეგ, **მას 1 თვის ვადა აქვს,** რათა შეისწავლოს თქვენი პრეტენზია და წერილობით ან ელექტრონულად (იმ ფორმის მიხედვით, რა ფორმითაც დააფიქსირეთ პრეტენზია, ან, როგორც შეთანხმდებით) გაცნობოთ საკითხის შესწავლის შედეგები, ხოლო, სადაც შესაძლებელია, გაცნობოთ პრეტენზიის გადაწყვეტის პირობები.

გაითვალისწინეთ, ფინანსური ორგანიზაცია არ არის ვალდებული, განიხილოს თქვენი პრეტენზია განმეორებით, ანუ მაშინ, როცა ის იმავე საკითხს ეხება, რაც მანამდე წერილობითი ან ელექტრონული ფორმით უკვე განხილული აქვს. გამონაკლისია შემთხვევები, როცა ადრე განხილულ საკითხზე დამატებით მნიშვნელოვანი ინფორმაციის (მაგალითად, ახალი ფაქტების შესახებ) მიწოდებას ახორციელებთ. თქვენი პრეტენზიის განხილვაზე უარის უფლება ფინანსურ ორგანიზაციას აქვს მაშინაც, როცა ის ეხება ამა თუ ამა თუ იმ პროდუქტის მიღებასა ან მომსახურების გაწევაზე უარს, მაგალითად, თუ თქვენ სესხის მიღება გსურდათ და უარი გეთქვათ. აქაც გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა ისეთი პროდუქტის მიღება გსურდათ, რომლის მიწოდების ვალდებულებას ფინანსურ ორგანიზაციას კანონი აკისრებს.

ფინანსური ორგანიზაციის მიმართ თქვენი პრეტენზიის დაფიქსირება საქართველოს ეროვნულ ბანკშიც შეგიძლიათ: ცხელი ხაზის - **032 2 406 406** ან ელექტრონული ფოსტის - **cp@nbg.gov.ge** საშუალებით.

სასამართლოში ხანგრძლივი დავის წამოწყებამდე უმჯობესია, ეროვნულ ბანკში შექმნილი მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებას მივმართოთ, სადაც, როგორც გვპირდებიან, ჩვენს ყველა პრეტენზიაზე მოახდენენ რეაგირებას.

ლევან ჭიღლაძე

იურიდიული რჩევები

თქვენს კითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

- სასამართლოს გადაწყვეტილებით დამეკისრა თანხის გადახდა. ამჟამად არ მაქვს ვალის გასტუმრების საშუალება. შეუძლია თუ არა სასამართლოს, გადამივადოს დაკისრებული თანხის გადახდა?

- დიახ, სასამართლოს აქვს უფლება, გადაავადოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამი თვის განმავლობაში, თუ სასამართლოს მიმართავთ შუამდგომლობით აღსრულების გადავადების შესახებ. ამისთვის საჭიროა, სასამართლოს წარუდგინოთ მტკიცებულებები, რომ გადახდის უუნარო ხართ.

●

- სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული. მოვიპოვე ისეთი მტკიცებულება, რითაც მსურს, ხელახლა აღვძრა საქმე. მაქვს თუ არა ამის უფლება ?

- თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს განცხადებით ახლადგამოვლენილი გარემოებების გამო და მოითხოვოთ საქმის წარმოების განახლება, სასამართლოს წარუდგინოთ მტკიცებულებები, რომელიც მოპოვებული გაქვთ. საერთოდ, ასეთი ტიპის განცხადებების სასამართლოში წარდგენის ხანდაზმულობის ვადაა 5 წელი.

●

- მოპასუხეს გავუგზავნე სარჩელი, რომელიც არ ჩაიბარა. სასამართლო გზავნილის ჩაბარებაზე უარის თქმა ჩაითვლება თუ არა ფაქტად, რომ მხარემ მიიღო საბუთები?

- დიახ, თუ მოპასუხე უარს იტყვის სასამართლო გზავნილის ჩაბარებაზე, რაც კონკრეტულად ასახული იქნება საფოსტო დოკუმენტში, სასამართლოს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება თქვენი სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

●

- სამოქალაქო საქმეზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩემი შუამდგომლობა მტკიცებულებების წარდგენის შესახებ იმ მოტივით, რომ მასალები მთავარ სხდომაზე იყო წარდგენილი, ბოლოს არც სარჩელი დააკმაყოფილა. როგორ გავასაჩივრო აღნიშნული უარები სააპელაციო სასამართლოში?

- თქვენ შეგიძლიათ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროთ აღნიშნული და მოითხოვოთ პირველი ინსტანციის გადაწყველილების გაუქმება სრულად ორივე ნაწილში.

●

- სასამართლო დავა მოვუგე ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას. რა გზა დამრჩა საქმის ბოლომდე მისაყვანად?

- ასეთ შემთხვევაში, თქვენ უნდა მიმართოთ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რათა მან მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება, ისევ სასამართლოს დაავალოს უკვე ერთხელ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება. საერთოდ, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ისჯება კანონით და ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ პროკურატურას.

ტელ: 555 75-04-45

„რა ღირს“ ამერიკის პრეზიდენტობა?!

5 ნოემბერს აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. იმაზე საუბარი, ვინ გაიმარჯვებს, ნაადრევია. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში პრეზიდენტობის პრეტენდენტების წინასაარჩევნო კამპანიების ბიუჯეტი ათასჯერ — 2 მლნ დოლარიდან 2 მლრდ დოლარამდე გაიზარდა.

დონალდ ტრამპი და ჯო ბაიდენი

2020 წლის წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიაში დახარჯეს 1,96 მლრდ დოლარი.

ჯო ბაიდენმა 21 წლის ასაკში დაისახა მიზნად ამერიკის პრეზიდენტობა. პირველად 46 წლისამ წარადგინა საკუთარი კანდიდატურა არჩევნებზე, მაგრამ პლაგიატში მხილების გამო (1987 წელს ბრიტანეთის ლეიბორისტუელი პარტიის ლიდერის ნილ კინოკის გამოსვლებიდან ფრაგმენტების გამოყენება) გამოეთიშა პროცესს და ძველ სამსახურში, დელავერის შტატის სენატორის თანამდებობაზე დაბრუნდა. 2008 წელს ბაიდენმა კვლავ წამოაყენა თავისი კანდიდატურა, მაგრამ პირველივე პრაიმერიზიდან გამოეთიშა მარათონს, რადგან მიიჩნია, რომ მთავარ კანდიდატებს — ჰილარი კლინტონსა და ბარაკ ობამას კონკურენციას ვერ გაუწევდა. ობამამ ვიცე-პრეზიდენტობა შესთავაზა. ამ პოსტს ბაიდენი 2009-2017 წლებში იკავებდა.

2020 წლის წინასაარჩევნო კამპანია დემოკრატიული პარტიის კანდიდატს 1,15 მლრდ დოლარი დაუჯდა, თანხის უდიდესი ნაწილი მედიასაშუალებებსა და ინტერნეტში ბაიდენის გაპიარებაზე დაიხარჯა.

იმ დროის მოქმედი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ხარჯებმა 809 მლნ დოლარი შეადგინა.

ჰილარი კლინტონი. 2016 წელი. დახარჯა 768 მლნ დოლარი.

ჰილარი კლინტონი აქტიურად იყო პოლიტიკაში ჩართული მისი მეუღლის პრეზიდენტობის დროს. რუხი კარდინალის როლი არც მას აწყობდა და არც რესპუბლიკელებს და დემოკრატებს. პირველმა ლედიმ 2008 წელს არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, 2016 წელს კი ტრამპთან წააგო. საარჩევნო რბოლის 17 თვის განმავლობაში ჰილარი კლინტონმა 768 მლნ დოლარი დახარჯა. სულ მის ანგარიშებზე 1 მლრდ დოლარი შევიდა. ყველაზე გულუხვი დონორი ფინანსისტი დონალდ სასმანი იყო, რომელმაც 21,8 მლნ დოლარი ჩარიცხა ჰილარის ფონდში.

2016 დონალდ ტრამპმა ჰილარი კლინტონზე ორჯერ ნაკლები თანხა დახარჯა — 422,6 მლნ დოლარი. კამპანიისთვის სულ 433 მლნ დოლარი მოაგროვა. მისმა საკუთარმა თანხამ 433 მლნ დოლარი შეადგინა.

ბარაკ ობამა. 2012 წელი. დახარჯა 721 მლნ დოლარი.

პრეზიდენტმა და დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა ბარაკ ობამამ წინასაარჩევნო კამპანია 3,2 მლნ დოლარით დაიწყო, მერე კი ინვესტორების დახმარებით 722 მლნ დოლარი მოაგროვა. ამომრჩეველთა 55%-მა ჩარიცხა მის ანგარიშზე 200 დოლარამდე თანხა, 31%-მა — 200-დან 2500-მდე დოლარი და მხოლოდ 14%-მა „გაიმეტა“ 2500 დოლარზე მეტი.

მიტ რომნი. 2012 წელი. დახარჯა 449 მლნ დოლარი.

საარჩევნო რბოლა 383 ათასი დოლარით დაიწყო. საბოლოოდ მისი ბიუჯეტი რამდენიმეჯერ გაიზარდა. ძირითადად, რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერები — მსხვილი ფინანსისტები დაეხმარნენ. სამშენებლო ჯგუფის მფლობელმა ბობ ჯი პერიმ 8 მლნ, კაზინოს მფლობელმა შელდონ ადელსონმა და მისმა მეუღლემ 5-5 მლნ დოლარი გადაურიცხეს.

დონალდ ტრამპს ფინანსური დახმარება არ გაუწევია მიტ რომნისთვის, სამაგიეროდ, მთელი კამპანიის განმავლობაში ტელევიზიებისა და ინტერნეტის საშუალებით ძირს უთხრიდა ობამას. ტრამპი დღესაც ამტკიცებს, რომ ობამა ჰავაიზე კი არა, კენიაში დაიბადა და ამერიკის პრეზიდენტობის უფლება არ ჰქონდა.

ჯორჯ ბუში-უმცროსი. 2004 წელი. დახარჯა 367,2 მლნ დოლარი.

1988 წელს ჯორჯ ბუში-უმცროსმა მამამისის, ჯორჯ ბუში-უფროსის წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმატებით იშრომა, მეგობრებთან ერთად ბეისბოლის გუნდი „ტეხას რეინჯერსი“ შეიძინა და გუნდში 600 000 დოლარი ინვესტიცია ჩადო, ათი წლის შემდეგ კი გუნდის გაყიდვით 15 მლნ დოლარი იშოვა. ბუში-უმცროსი მალე გახდა ცნობილი და 1993 წელს ტეხასის გუბერნატორის თანამდებობაზე წარადგინა საკუთარი თავი.

2000 წელს ჯორჯ ბუში-უმცროსმა პრეზიდენტობაზე იყარა კენჭი და წინასაპრეზიდენტო კამპანიაში 350 მლნ დოლარზე მეტი დახარჯა.

ბილ კლინტონი. 1996 წელი. დახარჯა 116 მლნ დოლარი.

პირველი არჩევნები კლინტონმა 1992 წელს მოიგო. მიუხედავად იმისა, რომ ახალარჩეულ პრეზიდენტს გამოცდილება არ ჰყოფნიდა, ქვეყანა წარაფად და დინამიკურად ვითარდებოდა: მნიშვნელოვნად გაიზარდა მაღალტექნოლოგიური სექტორი, უმუშევრობა მინიმალურ დონემდე შემცირდა.

ბილ კლინტონის მმართველობის მეორე ვადის დროს შემცირდა ამერიკის საგარეო ვალი და აგორდა მონიკა ლევინსკისთან დაკავშირებული სექსუალური სკანდალი,



რომელიც აშშ-ის 42-ე პრეზიდენტის იმპიჩმენტით დასრულდა.

რონალდ რეიგანი. 1984 წ. 40 მლნ დოლარი (2020 წლის მონაცემებით — 97,6 მლნ დოლარი).

ამერიკელები მას საუკეთესო პრეზიდენტად მიიჩნევენ, მან აბრაამ ლინკოლნს და ბილ კლინტონსაც კი გადაუსწრო. რეიგანის მიმართ ბევრი რამის გამო ჰქონდათ სიმპათია, თუმცა, მისთვის ბედნიერი დღეები დაბადებიდანვე არ დაწყებულა. რონალდ რეიგანის სიყმაწვილე დიდი დეპრესიის პერიოდს დაემთხვა. მამამისმა და უფროსმა ძმამ სამსახურები დაკარგეს, რონალდმა კი ერთდროულად ორი სამუშაო იშოვა — იგი ვაჟთა სტუდენტურ სასადილოსა და ქალთა საერთო საცხოვრებლის სამზარეულოში ჭურჭლის მრეცხავად მოეწყო. შემდეგ იყო სამსახიობო კარიერა, მერე კი — დიდი პოლიტიკა. რეიგანის პრეზიდენტობის განმავლობაში ინფლაციის დონე 12,5%-იდან 4,5%-მდე, უმუშევრობის დონე კი 7,5%-იდან 5,3%-მდე შემცირდა.

რიჩარდ ნიქსონი. 1968 წ. 25,4 მლნ დოლარი (2020წლის მონაცემებით — 113,7 მლნ დოლარი).

1968 წლის წინასაარჩევნო კამპანიის დროს 25 მლნ დოლარის დახარჯვა რეკორდული იყო. დღეისათვის, ინფლაციის გათვალისწინებით, თანხა 110 მლნ დოლარზე მეტს შეადგენს. შედეგად, ნიქსონმა დემოკრატ ჰიუბერტ ჰამფრისთან ბრძოლაში გაიმარჯვა და აშშ-ის 37-ე პრეზიდენტი გახდა. მეორე საპრეზიდენტო კამპანიის დროს კი, 1972 წელს, ხმაურიანი სკანდალი მოხდა. დემოკრატების კანდიდატის შტაბიდან ინფორმაცია გაედინებოდა, რასაც ნიქსონის შტაბი თავის სასარგებლოდ იყენებდა. ყველაფერს ნათელი მას შემდეგ მოეფინა, რაც წყლის მილების შემკეთებელი დააკავეს, რომელიც სასტუმრო „უოტერგეიტში“ მუშაობდა, სადაც განთავსებული იყო დემოკრატი კანდიდატის ოფისი და სადაც მან მოსასმენი აპარატურა დააყენა.

ნიქსონის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა წამოიწყეს, მაგრამ პრეზიდენტმა გადაწყვიტა, კონგრესის დასკვნას არ დალოდებოდა და 1974 წლის 8 აგვისტოს ნებაყოფლობით დატოვა თანამდებობა.

ჯონ ფიცჯერალდ კენედი. 1960 წ. 9,7 მლნ (2020 წ. — 84 მლნ) დოლარი.

60-იან წლებში ჯონ კენედის წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიას ორი პრობლემა უნდა გადაეჭრა. პირველი — საბჭოთა კავშირთან ცივი ომის დასრულება და მეორე — ფიდელ კასტროსთან დაკავშირებული საკითხი, რომელსაც ამერიკელ კაპიტალისტებთან საქმის დაჭერა არ უნდოდა.

კენედის წინადადებით, ორივე პრობლემა მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარებულიყო. კენედიმ გამარჯვება ტელევიზიის წყალობით მოიპოვა. ეს ისტორიის განმავლობაში პირველი დებატები იყო. კენედი, რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგეზე, კონსერვატორ ნიქსონზე უკეთესად მოემზადა. ტელევიზიით გამოსვლამდე ორი დღით ადრე ჯონ კენედიმ პროდიუსერს დაურეკა და გაარკვია, როგორი იქნებოდა სტუდიის გაფორმება, დებატების ფორმატი, გამომსვლელები ფეხზე უნდა მდგარიყვნენ თუ არა, სად იყო განთავსებული კამერები... შედეგად, 1960 წლის 26 სექტემბერს, ჯონ კენედი ელეგანტურად იჯდა სტუდიაში, ფეხი ფეხზე ჰქონდა გადადებული და პირდაპირ კამერაში იყურებოდა. კენედის გამარჯვებას მაშინ ტელევიზიის გამარჯვება უწოდეს.

ბელა გველესიანი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასაგალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99